ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 30 მაისი, 2016 №126 (7052) ფასი: 50 თეთრი



გვ.4

„სააკაშვილი თბილისში დასაბრუნებლად ემზადება“

30 მაისიდან

ფენიმორ კუპერი

უკანასკნელი მოჰიკანი

ფანტასტიკა, თავგადასავალი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



# მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ჩვენ წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ“



გვ.3

## „ბურჭულაძეს ივანიშვილთანაც აქვს ფოტო გადაღებული და მისი კაცია?“

„ეს ნაცადი ხერხია. როგორც წესი, იარლიყებს იმას აწებებ, ვისიც გეშინია. მოუგონებ რაღაცას და აიძულებ, თავი იმართლოს. ამ ტაქტიკას წარმატებით იყენებდა ნაციონალური მოძრაობა. გავიხსენოთ, რა ხდებოდა, როცა ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. პირველი, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ მაშინ გააკეთა, იყო ის, რომ პუტინის სატელიტის იარლიყი მიაწება“



## არჩილ გამზარდია: „პაატა ბურჭულაძის მესიჯები უინტერესოა“

გვ.2



„არ არის ტრაგედია, თუ „ოცნება“ უმრავლესობაში ვერ მოვა“

## ფიფას წარმომადგენლები სოხუმში აპირებენ ჩასვლას





საქართველოს საგარეო უწყება სანქციებით იმუქრება

გვ.5



გვ.7

## თამაზ ხუბუა: „გიგა ოთხოზორიას მკვლელობით აფხაზები შეწუხებული არიან“

ISSN 1987-9385

## საკონსტიტუციო სასამართლო წუწუკიანს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში ადანაშაულებს



გვ.2



გვ.5

## „ვინც დამაფასებთ, მიაწერეთ...“

ჟურნალისტი ზვიად თხელიძე პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა

## კახა გოგოლაშვილი: „ნატოში მაპის გარეშე გაწევრიანება შესაძლებელია“

გვ.4



# არჩილ გამზარდია: „პაატა ბურჭულაძის მესიჯები უინტერესოა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია აფასებს.



**„არ არის ტრაგედია, თუ „ოცნება“ უმრავლესობაში ვერ მოვა“**

***– არჩილ, პაატა ბურჭულაძემ პარტიის ყრილობა გამართა. რა მესიჯები ამოიკითხეთ მის განცხადებებში, არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ხელისუფლებაში მოვალთო. აქვთ ამის შანსი?***

– ყველაზე მთავარი და დადებითი, რაც გააჩნია ბურჭულაძის პარტიასა და მის მოსვლას პოლიტიკურ პროცესებში, არის ის, რომ საზოგადოების, მედიის ყურადღება გადადის ამ ახალ აქტორებზე და ძველი, მოყირჭებული და დიდხნიანი პარტიები, რომლებიც არც საინტერესო არიან საზოგადოებისთვის, მაგრამ მაინც ახერხებენ, საზოგადოებრივ პროცესებს ხელი შეუშალონ, ვიდრე შეაშველონ, უფრო ყურადღების მიღმა რჩებიან.

***– ბურჭულაძის თანაგუნდელებზე რას ფიქრობთ?***

– საკმაოდ საინტერესო სახეები ჰყავს ბურჭულაძეს გუნდში. თუმცა ჩემთვის ყველაზე უცნაური ის არის, რომ გუნდი გუნდურად არ მუშაობს. ესეც არის არა თანამედროვე, არამედ ძველებური ყაიდის პარტია, ლიდერზე ჩამოკიდებული. რასაც ლიდერი იტყვის, პარტიის წევრები შემდეგ იმას ავრცელებენ. რაც შეეხება თვითონ ბურჭულაძის პოზიციონირებას, მე არ მიმაჩნია, რომ ის წარმატებულად მიმდინარეობს. მგონია, რომ მისი პერსპექტივები რეიტინგის თვალსაზრისითაც უფრო კლებადია, ვიდრე მატებადი.

***– რატომ, რას უწუნებთ, რა შეცდომებს უშვებს ბურჭულაძე?***

– როდესაც თქვენ მეკითხებით, რა მესიჯები გაიგეთ მისი განცხადებებიდანო, გიპასუხებთ, რომ არაფერი ახალი, რასაც მე არ ვისმენ თავისუფალი დემოკრატების, ნაციონალური მოძრაობის ტექსტებიდან, არ არის. ყველაზე მეტად გამომჟღავნდა ის, რომ ბურჭულაძეს აქვს გადამეტებული თვითშეფასება პოლიტიკურ პროცესებში ამ მომენტისათვის. შესაძლოა, ის დაიხვეწოს და განვითარდეს, მაგრამ დღეს ასეთი ტექსტები, რომ გარდაუვალია ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლა, რომ კონკურენტი არ გვყავს და ასე შემდეგ, არასერიოზულ განწყობას გვიქმნის.

***– ზედმეტად თავდაჯერებულები არიან?***

– ამას თავდაჯერება არ ჰქვია. ეს არის გადაჭარბებული თვითშეფასება, რომლის წინაპირობაც უფრო ნაკლები თავდაჯერებულობაა. თუ პოლიტიკური პარტია ასე მარტივად აპირებს, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს გაუსწროს და ხელისუფლებაში მოვიდეს, ეს არასერიოზულია. მათ რომ ეთქვათ, ჩვენ მოვალთ პარლამენტში ან შევქმნით კოალიციურ მთავრობასო0, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა მათი მხრიდან, ხოლო ის ფორმა, რაომელსაც პაატა ბურჭულაძე გამოხატავს, არ ქმნის სერიოზულ განცდას, რომ მასზე სერიოზულად იმსჯელო. ბურჭულაძეს თვითმყოფადობა აკლია. როდესაც ახალი პოლიტიკური ძალა მოდის, ის უნდა იყოს უნიკალური. პაატა ბურჭულაძე კი არ არის უნიკალური.

***– და მაინც რას გულისხმობთ ამ უნიკალურში?***

– უნიკალური უნდა იყოს სუბიექტი, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ პლატფორმას ქმნის, რომლის პოლიტიკური პოზიციები, ინსტრუმენტები არ ჰგავს არავისას და ამით არის ის სასურველი, ხოლო ბურჭულაძის ტექსტებს ყველა ნაციონალური მოძრაობის ტექსტად აღიქვამს.

***– ამის რისი თქმა გსურთ?***

– იმის, რომ მას პირველ რიგში განსაკუთრებულობა აკლია. ბურჭულაძის განცხადებებში მომავალზე საერთოდ არ არის ორიენტირი. მათში მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკა და საკუთარი თავის ქება ისმის.

***– არანაირი პერსპექტივა და შანსები არ აქვთ?***

– აქვთ, პერსპექტივა და შანსები როგორ არა აქვთ. უბრალოდ, ის, რომ ხვალ ბურჭულაძე ისეთი დოზით მოვა, რომ გახდება პრემიერი და მისი გუნდის წევრები მინისტრთა კაბინეტს შეავსებენ, სასაცილო მიდგომაა.

***– თუკი მათ შექმნეს ახალი კოალიცია ნაციონალებთან და თავისუფალ დემოკრატებთან, მაშინ?***

– არა მგონია, იმიტომ, რომ ეს არაფერში სჭირდებათ. პირველი იმიტომ, რომ ბურჭულაძე, რომელიც მაინც ცდილობს, აჩვენოს თავისი საჭიროება, აღმოჩნდება, რომ ნაციონალების თანამზრახველ რეჟიმშია. ასევე ეს არაფერში სჭირდება ირაკლი ალასანიას. თუ რესურსების მიხედვით იმსჯელებენ, ნაციონალების პერსპექტივები ამ საპარლამენტო არჩევნებზე ძალიან მწირია. იმ ძალიან მწირში, სადაც მათ შეუძლიათ გაიყვანონ 12 კაცი და ამავე დროს ჩასვან კიდევ მოწილეები, სხვას გაუყონ კვოტა, არა მგონია, მათთვის მომგებიანი იყოს.

***– თქვენ საუბრობთ ნაციონალების მწირ შანსებზე, თუმცა დავინახეთ, რა მოხდა კორცხელში, როგორი მობილიზებულები იყვნენ. ამაზე რას იტყვით?***

– მერე რა, რომ იყვნენ?! 9 უბანში იყო არჩევნები. აქედან ხუთში ნაციონალებმა თავიდანვე ძალიან წარუმატებლად შეაფასეს საკუთარი პერსპექტივები და არ დააყენეს საკუთარი კანდიდატები. ოთხში დააყენეს იმ იმედით, რომ ოთხივეში იქნებოდნენ გამარჯვებული. გაიმარჯვეს ორში და იქაც 10-15 ხმის სხვაობით. ამიტომ კორცხელის მაჩვენებელი საარჩევნო პერსპექტივის კუთხით არასაკმარისია. კორცხელში არამდგრადი პერსპექტივა იყო.

***– ნაცებს პიარსა და პროვოკაციის მოწყობაში ბადალი არ ჰყავთ. ამბობენ, რომ „ოცნება“ წამოეგო მათ პროვოკაციას. ამაზე რას იტყვით?***

– ამ პოზიციას ცალსახად ვეთანხმები. პროვოკაციები ნაკლებად შესაძლებელია იქ, სადაც ძალთა ბალანსი ჩამოყალიბებულია. აბაშაში ნაციონალური მოძრაობის პოზიციები ძალიან მაღალია, ამიტომ იქ ისინი აგრესიულები ნაკლებად იქნებიან. იქაც, სადაც „ქართული ოცნების“ პერსპექტივაა ძალიან მაღალი, ნაკლები შანსია პროვოკაციის. პროვოკაცია ეფექტურია იქ, სადაც ძალთა ბალანსი თითქმის თანაბარია. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, ასეთი კერები სად გააჩნია და ბევრად მეტი მობილიზება მოახდინოს.

***– ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე რას ფიქრობთ, რეალურად რა ხდება „ოცნებაში“?***

– მე ვერ ვიტყვი, რომ რამე განსაკუთრებული პროცესი მიმდინარეობს. ამ ეტაპზე განახლების პროცესი მიმდინარეობს. არიან ადამიანები, რომლებიც იქ ვერ ხვდებიან და მათგან გარკვეული ნეგატივი მოდის. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ დღეს „ქართულ ოცნებაში“ რაიმე გაუგებრობაა. ხდება ის, რაც სავარაუდო იყო. დღეს ყველაზე მთავარი არის არა ის, რომ „ოცნებამ“ მოიპოვოს უმრავლესობა, არამედ ის, რომ ხელისუფლებაში სახელმწიფოსთვის საშიში ძალები არ მოვიდნენ.

***– და ვინ არიან ეს საშიში ძალები?***

– მაგალითად, ყოფილი ხელისუფლება, ნაციონალები. თუ არ მოვა „ოცნება“ უმრავლესობაში, სულაც არ არის ტრაგედია. შეიქმნება კოალიციური მთავრობა და ეს შესაძლოა სულაც არ იყოს „ოცნებისთვის“ ცუდი.

## საკონსტიტუციო სასამართლო წულუკიანს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში ადანაშაულებს



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართულ მცდელობაში ადანაშაულებს. აღნიშნულის შესახებ ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში, რომელსაც მედიანიუსი უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მედიით გაკეთებული განმარტებისას, რომელიც ვენეციის კომისიის შუალედურ დასკვნას უკავშირდებოდა, განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი მიზანია, შესაძლებლობა არ მისცეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, ხელოვნურად გაიხანგრძლივონ უფლებამოსილების ვადა, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

აღნიშნული განცხადება წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაციის და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგ მიზანმიმართულ მცდელობას. საკონსტიტუციო სასამართლო მოუწოდებს იუსტიციის მინისტრს, საჯაროდ დაასახელოს ის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილება ხელოვნურად იქნა გახანგრძლივებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს ოცწლიანი ისტორიის განმავლობაში ერთხელ შეიცვალა სასამართლოს ძირითადი შემადგენლობა და რამდენიმე შემთხვევაში – ცალკეული მოსამართლეები. აქედან მხოლოდ სამ შემთხვევაში (2006, 2011 და 2014 წლებში) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსამართლეებს შესაძლებლობა მიეცათ, დაესრულებინათ მიმდინარე საქმეები. აღნიშნული ვადა არცერთ შემთხვევაში არ აღემატებოდა 3 თვეს. ამასთანავე, კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ამ პერიოდის განმავლობაში ახალი საქმის განხილვას, მოსამართლე უფლებამოსილია დაასრულოს მუშაობა მხოლოდ მიმდინარე საქმეზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, დაასრულოს მიმდინარე საქმეები, ემსახურება კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებასა და კონკრეტული მოსარჩელის ინტერესების დაცვას. აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ მიიჩნევს იუსტიციის მინისტრი, რომ აღნიშნული რეგულაცია იწვევს მისი გამოყენების მანკიერ პრაქტიკას, რის გამოც საჭიროებს მყისიერ შეცვლას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ოცწლიანი ისტორიის განმავლობაში აღნიშნულ ნორმას არასდროს გამოუწვევია საკონსტიტუციო სასამართლოს ან ახლად არჩეული მოსამართლის საქმიანობის შეფერხება.

მედიანიუსი

## საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს



უშიშროების საბჭოს მდივან ირინე იმერლიშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს და ძალიან ყურადღებით განიხილავს.

ამის შესახებ იმერლიშვილმა ჟურნალისტებს გორში, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში აკადემიის 23 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განუცხადა.

იმერლიშვილი განმარტავს, რომ კანონზე ვეტოს დადების საკითხზე გადაწყვეტილებას პრეზიდენტი თავად მიიღებს.

– ჩვენ პირველივე დღიდან ვმუშაობთ ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის დავალებით. პირველი მოსმენიდან მოყოლებული ძალიან ყურადღებით განვიხილავთ კანონპროექტს, ამას დაემატა ვენეციის კომისიის წინასწარი დასკვნა და მართლაც კრიტიკული შენიშვნები. რაც შეეხება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ამას თავად პრეზიდენტი მიიღებს, – განაცხადა ირინე იმერლიშვილმა.

მედიანიუსი

## დღეს, 30 მაისს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდება



საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 2016 წლის 30 მაისს, 15:00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართება.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია სამი საკითხის განხილვა:

1. მზადება ნატოს ვარშავის სამიტისთვის;
2. რეგიონული უსაფრთხოების საკითხები;
3. უსაფრთხოების გარემო საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რაიონებში

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან საბჭოს მუდმივი წევრები.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ჩვენ წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ“

შორენა მარსაგიშვილი

ვისთვის არის საშიში პოლიტიკაში მოსული პაატა ბურჭულაძე, რას ნიშნავს მიხეილ სააკაშვილთან გადაღებული ფოტო, რატომ დუმდა ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „სახელმწიფო ხალხისათვის“ ერთ-ერთი ლიდერი მერაბ მეტრეველი ესაუბრება.

***– 28 მაისს პაატა ბურჭულაძემ პარტიის ყრილობაზე წარადგინა თავისი გუნდი და გააკეთა ამბიციური განცხადება, რომ ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალია. იმავეს ამბობთ მისი გუნდის წევრებიც. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს, მხოლოდ ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველს იმედები გაუცრუა თუ არსებობს სხვა მიზეზებიც?***

– მიზეზი ბევრია. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენი პარტია ქართულ პოლიტიკაში არის მართლა ახალი ძალა და პოლიტიკურ სცენაზე ჩვენ ვიქნებით მთავარი სიახლე. ჩვენ გვაქვს იმის შანსი, რომ ამომრჩეველს რეალური ალტერნატივა შევთავაზოთ. იმ ამომრჩეველზე ვსაუბრობ, რომელსაც არც ნაცები უნდა, არც ქოცები და არც მათგან გამოყოფილი პარტიები.

ამის გარდა, ჩვენ გვყავს სერიოზული გუნდი. შესაძლოა, მას ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს, მაგრამ ისინი თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ისინი აქამდე პოლიტიკაში არ ყოფილან.

***– სპეციალურად შეარჩიეთ პოლიტიკით გაუსვრელი ხალხი?***

– ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ პროფესიონალებზე, რომლებიც პოლიტიკაში მართლა ახალი სახეები არიან. გუნდის დაკომპლექტება არ დასრულებულა, ისევ ვეძებთ ახალ სახეებს. ასე რომ, ჩვენთან სიახლეები ისევ იქნება. ჩვენი ხედვებიც ახალი იქნება და ჩვენი გუნდი იმედგაცრუებული ამომრჩევლისთვის დიდი სიურპრიზი იქნება.

ხელისუფლების შეცვლა მართლაც გარდაუვალია. ამას „ქართული ოცნებაც“ კარგად ხვდება. ისინი იმასაც აცნობიერებენ, თუ ვინ შეძლებს მათ შეცვლას, ამიტომაც დაიწყეს ჩვენ წინააღმდეგ შავი პიარის აგორება. თავიდან ეს ნაციონალებმა დაიწყეს და ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ რუსული პროექტი ვართ. ხელისუფლებამ როცა გააცნობიერა, რომ ჩვენი სახით რეალური კონკურენტი გამოუჩნდა, სხვადასხვა იარლიყის მიწებება დაგვიწყეს. ამტკიცებენ, რომ ჩვენ ნაციონალების სატელიტები ვართ.

ეს ნაცადი ხერხია. როგორც წესი, იარლიყებს იმას აწებებ, ვისიც გეშინია. მოუგონებ რაღაცას და აიძულებ, თავი იმართლოს. ამ ტაქტიკას წარმატებით იყენებდა ნაციონალური მოძრაობა. გავიხსენოთ, რა ხდებოდა, როცა ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. პირველი, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ მაშინ გააკეთა, იყო ის, რომ პუტინის სატელიტის იარლიყი მიაწება. მას დღემდე ამ მეთოდებით ებრძვიან. გული მწყდება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალების მეთოდები აიტაცა. განსაკუთრებით საწყენია, რომ ამ ხერხებს მათი ახალი სახეები მიმართავენ.

***– ვისზე საუბრობთ?***

– თუნდაც ირაკლი კობახიძეზე. ის ახალი სახეა და მისგან ყველა სიახლეს ელოდა, მან კი ნაციონალების მიერ გამოცდილ ბინძური მეთოდებს მიმართა. სხვა ლიდერებიც ასევე იქცევიან და ათას საძაგლობას იგონებენ. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც ამ საქმით არიან დაკავებული. ცოტა ხნის წინ თქვენს გაზეთში ტრისტან



## „ბურჭულაძეს ივანიშვილთანაც აქვს ფოტო გადაღებული და მისი კაცია?“

წითელაშვილთან წავიკითხე ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ აქვს ფაქტები, რომ ბურჭულაძე სააკაშვილის სატელიტია. ასე ბევრი ლაპარაკობს და ვთხოვ, რომ თუ რამე ფაქტები აქვთ, გამოაქვეყნონ.

***– სხვებს რა ფაქტები აქვთ, არ ვიცი, მაგრამ წითელაშვილის ერთ-ერთი არგუმენტი სააკაშვილისა და ბურჭულაძის ერთად გადაღებული ფოტოა. ოდესაში გადაღებულ ამ ფოტოს სხვებიც ხშირად აფრიალებენ.***

– ჩვენი სააკაშვილის სატელიტობის „დამამტკიცებელი“ მეტი ფაქტი ვერ იპოვეს. ეს სურათი ფარულად არავის გადაუღია. პაატა ბურჭულაძემ ოდესაში გამართა კონცერტი, რომელსაც სააკაშვილიც დაესწრო. ღონისძიების დასრულების შემდეგ მათ ფოტო გადაიღეს.

ერთად გადაღებული ფოტო თუ რამეს ამტკიცებს, მაშინ პაატა ბურჭულაძეს ბევრად მეტი ფოტო აქვს ბიძინა ივანიშვილთან გადაღებული. მათი შეხვედრების ამსახველი ვიდეოებიც არსებობს, მაგრამ ქოცებს არასდროს უთქვამთ, რომ ბურჭულაძე ივანიშვილის სატელიტია, სამაგიეროდ, ხელზე დაიხვიეს სააკაშვილთან გადაღებული ფოტო და ამტკიცებენ, რომ ეს საიდუმლო გარიგების დადების შემდეგ მოხდა. როგორ გგონიათ, მათ შორის მართლა რომ შემდგარიყო ფარული გარიგება, ფოტოს გადაიღებდნენ და ამას სოციალურ ქსელში ატვირთავდნენ?

„ქართულ ოცნებას“ და მასთან დაკავშირებულ ძალებს საკუთარ მომხრეებზე ძალიან დაბალი წარმოდგენა აქვთ. მათ ჰგონიათ, რომ ასეთი სულელური ბრალდებებით ხალხს თვალში ნაცარს შეაყრიან.

***– ფოტოს ისტორია გავიგეთ, მაგრამ იმ არგუმენტსა თუ ბრალდებაზე რას იტყვით, რომ ნაციონალების მმართველობის ხანაში არაფერი გაგიპროტესტებიათ? ამ შემთხვევაში კითხვები ბურჭულაძის მისამართით არის. პირადად თქვენ ყოველთვის აპროტესტებდით, რაც ხდებოდა.***

– ამ არგუმენტებითაც იმის დამტკიცება სურთ, რომ ბურჭულაძე სააკაშვილთან იყო შეკრული. ამ ხალხს იმ ინციდენტს გავახსენებ, რომელიც მაშინდელ ხელისუფლებასა და ბურჭულაძეს შორის მოხდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას კონცერტის ჩატარების საშუალებას არ აძლევდნენ. სააკაშვილის ხელისუფლება მას იმიტომ გადაემტერა, რომ მან მოსკოვში გაეროს ეგიდით გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.



***– სააკაშვილის ხელისუფლება რომ არასდროს გაუკრიტიკებია, ამაზე რას იტყვით?***

– პაატა ბურჭულაძე მაშინ ასე ღიად არ ერეოდა პოლიტიკაში. რადგან არაფერს ამბობდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მომხრე იყო. როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, პაატა ბურჭულაძე მასთან მივიდა და ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა. ის რომ სააკაშვილის კაცი ყოფილიყო, ივანიშვილს ღია მხარდაჭერას არ გამოუცხადებდა.

ის ამბობს, რომ ყველა ხელისუფლების მოსვლას ნდობითა და იმედით ხვდებოდა. ახლა მას ეს იმედები გადაეწურა და ვეღარ ხედავს ადამიანს, რომლის ნდობაც შეიძლება. ახლა მან ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო და უნდა, რომ არსებული სისტემა დაამარცხოს.

„ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა ისაა, რომ სისტემა არ შეცვალა და ყველაფერში ნაციონალურ მოძრაობას დაემსგავსა. ქვების სროლაც კი მათნაირად დაიწყეს, აღარაფერს ვამბობ მურუსიძეზე. ამ სისტემის დამარცხების ნაცვლად „ოცნებამ“ ის საკუთარ თავზე კარგად მოირგო და ამიტომაც არ გვაქვს დღეს სამართლიანი სასამართლო.

***– ისინი ამბობენ, რომ ახლა სწორედაც რომ თავისუფალია სასამართლო.***

– ისინი კი ამბობენ, მაგრამ ამის ვის სჯერა. თავიდან მართლა დაიწყეს რაღაც რეფორმების გატარება, მაგრამ საქმე სანახევროდ გააკეთეს. ამას სჯობდა, საერთოდ არ დაეწყოთ ეს რეფორმა. მათ ვერც დაპირებული კეთილდღეობა მოუტანეს მოსახლეობას, ხალხს იმედები გაუცრუეს, ახლა კი ცდილობენ, ოპონენტებს ქვების სროლითა და იარლიყების მიწებებით გაუსწორდნენ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან მწყდება გული, რომ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერები ნაციონალების გაკვალულ გზას დაადგნენ და ბინძური მეთოდებით თამაში არჩიეს.

***– თავიდან ნაციონალებმა მოგაწებეს იარლიყი. ახლა ისინი დადებითად მოიხსენიებენ თქვენს პარტიას, იმასაც კი ამბობენ, რომ მზად არიან, ითანამშრომლონ პარტიასთან „სახელმწიფო ხალხისთვის“. რა ხდება?***

– ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ნაციონალებთან გარიგებული არ ვართ. მათთან რაიმე ალიანსში რომ ვიყოთ, ისინი ასე ღიად არ გამოთქვამდნენ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს. ამ განცხადებებს იმიტომ აკეთებენ, რომ ხმები დაგვაკარგვინონ. მათ ძალიან კარგად ესმით, რომ თუ ნაციონალების სატელიტებად აღგვიქვამს ხალხი, ხმას აღარავინ მოგვცემს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნაციონალები სპეციალურად საუბრობენ ჩვენზე დადებითად. ამით ამყარებენ იმ იარლიყს, რომელიც ხელისუფლებამ მოგვაწება.

შეთქმულების თეორიებში არ წავალ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ.

***– იმას გამორიცხავთ, რომ ნაციონალებს მართლაც უნდოდეთ თქვენს პარტიასთან თანამშრომლობა?***

– შესაძლოა ვიღაცას მართლა უნდა ჩვენთან თანამშრომლობა, მაგრამ, თანამშრომლობა რომ შედგეს, ამის სურვილი მეორე მხარესაც უნდა ჰქონდეს. მეორე მხარეს ანუ ჩვენ ნაციონალებთან თანამშრომლობის სურვილი არ გვაქვს. პარტიამ „სახელმწიფო ხალხისათვის“ ცალსახად განაცხადა, რომ ამ არჩევნებზე არავისთან არც ბლოკს შექმნის და არც – კოალიციას. ჩვენ დამოუკიდებლად ვიყრით კენჭს.

ამ თემაზე გაკეთებული ყველა სხვა განცხადება ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ნაციონალებიც და „ოცნებაც“ კარგად ხედავენ, რომ მათ ბევრ ხმას დავაკარგვინებთ. ხელისუფლებას ისედაც დაკარგული ჰყავს მხარდამჭერები, რაზეც ყველა კვლევა მიუთითებს. არსებობდა სერიოზული რისკი, რომ „ოცნების“ მიერ იმედგაცრუებული ამომრჩეველი ადრე თუ გვიან ნაციონალებისკენ გადაიხრებოდა.

***– ნაციონალებისკენ რატომ გადაიხრებოდნენ?***

– იმიტომ, რომ მათ სხვა ალტერნატივა არ ექნებოდათ. ჩვენ ეს ალტერნატივა გავაჩინეთ, რაც ნაციონალების ინტერესში არ შედის. არც „ოცნებას“ და არც ყოფილ ხელისუფლებას ახალი ძალის გამოჩენა არ უნდათ. მათ ურჩევნიათ, საარჩევნო ველზე მთავარი მოთამაშეები ისინი იყვნენ, რათა ხალხს ცუდსა და უარესს შორის ჰქონდეს არჩევანი გასაკეთებელი. გახსოვთ, რა თქვა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნების წინ – შუა უნდა გაიკრიფოსო. ახლაც ისევ ამ თამაშს თამაშობენ. მართალია, ერთმანეთს ურტყამენ, მაგრამ უნდათ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ. ამ არჩევნებზე შუა აღარ გაიკრიფება და ხალხს მხოლოდ 2 ძალას შორის აღარ მოუწევს არჩევანის გაკეთება.

***– პრეტენზია გაქვთ, რომ მესამე ძალა თქვენ იქნებით?***

– რატომ მესამე? პირველ ძალობაზე გვაქვს პრეტენზია. ჩვენ ხალხს ალტერნატივა შევთავაზეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ზემოთ თქვით, შეთქმულების თეორიაზე არ წავალთ, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ ერთად მუშაობენო. ეს არის თუ არა რაიმე გარიგება ან შეთანხმების შედეგი?***

– ვერ ვიტყვი, რომ გარიგება დაიდო, მაგრამ ორივე კარგად ხვდება, რომ ჩვენი გამოჩენა ორივეს დააზიანებს. ამიტომაც ყველა მეთოდს მიმართავენ ჩვენ ჩასაძირად. ამ შემთხვევაში საუკეთესო გზა ჩვენი ნაციონალებთან გაიგივებაა. ყველა პარტია, რომელიც რაღაცნაირად გაეკარა ნაციონალებს, საერთოდ გაქრა და დაიშალა. გია თორთლაძის, პაატა დავითაიასა და ბაჩუკი ქარდავას პარტიები ამის დადასტურებაა. ქდმ საერთოდ მოისრა. ეს კარგად იციან ნაციონალებმაც და „ოცნებამაც“ და, უნდათ თუ არა, ჩვენ წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ.

# „გეგა გეგეშიძეს გომელაურის დაცვაში არასდროს უმუშავია“

## სუსი რუსთავი 2-ის ინფორმაციას უარყოფს

ნაციონალური მოძრაობა კორცხელში მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთ მონაწილედ მოჭიდავე ვლადიმერ გეგეშიძეს ასახელებს. რუსთავი 2-ის ინფორმაციით კი ვლადიმერ გეგეშიძის ძმა, გეგა გეგეშიძე, ვახტანგ გომელაურის დაცვის უფროსი გახლავთ. ამის შესახებ ინფორმაცია გადაცემა „არჩევანმა“ გაავრცელა.



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში კი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ და განმარტავენ, რომ არცერთ ეტაპზე გეგა გეგეშიძეს ვახტანგ გომელაურის დაცვასთან შეხება არ ჰქონია.

– ეს არის სრული სიცრუე. ის ვახტანგ გომელაურის არც დაცვის უფროსი და არც დაცვის წევრი არასდროს ყოფილა. მას შეხება საერთოდ არა აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, ისევე, როგორც გადაცემაში ნახსენებ ამირან ჯორბენაძეს. ეს არის დეზინფორმაცია. მათ შეეძლოთ, ინფორმაცია მარტივად გადაემოწმებინათ ჩვენთან, რაც, სამწუხაროდ, არ მომხდარა, – განმარტავს სუსის წარმომადგენელი ნინო გიორგობიანი.

„პრაიმტაიმნიუსი“ პირადად გეგა გეგეშიძესაც დაუკავშირდა. მისი თქმით, ის წარსულში მხოლოდ ალექსანდრე ჭიკაიძის დაცვაში მუშაობდა და სამსახური შს უწყებიდან ჭიკაიძის წასვლასთან ერთად დატოვა.

– გომელაურის დაცვაში არასდროს ვყოფილვარ, საერთოდ არ მქონია შეხება. ისეთ რაღაცებს ამბობენ, საერთოდ რომ არაფერ შუაში ვარ. იგივე კორცხელის ინციდენტი დუშეთში ტელევიზიით გავიგე, – ამბობს გეგა გეგეშიძე.

„პრაიმტაიმნიუსს“ გადაცემა „არჩევანში“ განუმარტეს, რომ ინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის ბრიფინგზე დაყრდნობით გავრცელდა, თუმცა, როგორც სუსში განმარტავენ, ტელეკომპანიას ინფორმაცია მათთან არ გადაუმოწმებია.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა გოგოლაშვილი: „ნატოში მაპის გარეშე გაწევრიანება შესაძლებელია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 8 ივლისს დაგეგმილ ნატოს ვარშავის სამიტსა და ნატოში საქართველოს პერსპექტივებზე საუბრობს.



***– ბატონო კახა, 8 ივლისს ვარშავის ნატოს სამიტი გაიმართება. ჩვენ რას უნდა ველოდოთ ამ სამიტისგან?***

– თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ საჭიროა ახალი ინსტრუმენტების, მეტი ჩართულობის მიღწევა საქართველოსა და ნატოს შორის. საჭიროა მეტი გარანტიების შექმნა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. აპატურაიმ ბოლო ვიზიტის დროს გვითხრა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება გადაწყვეტილია, ეს, უბრალოდ, დროის ამბავია. საჭიროა ისეთი დროის მოძებნა, რომელიც ყველასთვის მომგებიანი იქნება.

ნატოში გაწევრიანების პროცესი მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მაპს არ გვპირდებიან, ყველა ის ინსტრუმენტი და შესაძლებლობა, რომლებიც მაპს თან სდევს, საქართველოს პრაქტიკულად გააჩნია, შეიძლება, კიდევ დაემატოს. როგორც ჩანს, საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზა ამ მიმართულებით წავა. ის არ მიდის დეკლარირებული სახით, მაგალითად, ისეთი სახით, როგორიც არის მაპის მინიჭება.

***– ხშირად არის პოლიტიკური სპეკულირების საგანი მაპით თუ მაპის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ მაპის გარეშე შეიძლება მოხდეს გაწევრიანება?***

– მხოლოდ 1999 წელს მიიღო ალიანსმა გადაწყვეტილება, რომ შემდგომი გაწევრიანება მოხდება მაპის გზით. მაპი იყო დასახელებული, როგორც ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა მოამზადოს ქვეყნები გასაწევრიანებლად.

***– მაპის გარეშე შესაძლებელია გაწევრიანება?***

– მაპის გარეშე შეიძლება ქვეყანა გაწევრიანდეს, მაგრამ ამისთვის მინისტერიალზე მინისტრთა გადაწყვეტილებაა საჭირო. მაპი, როგორც ინსტრუმენტი, ვაშინგტონის შეთანხმებაში არ ფიგურირებს. როგორ გითხარით, მაპი, როგორც ინსტრუმენტი, 1999 წელს გაჩნდა, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ქვეყნების გაწევრიანების საკითხი დადგა და მათი მომზადება იყო საჭირო. ამიტომ გადაწყდა ამ ინსტრუმენტის შემოღება. ეს გადაწყვეტილება მინისტერიალზე იქნა მიღებული. ამდენად, ნებისმიერ მინისტერიალს შეუძლია სხვა გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილება იმაზე, რომ რომელიღაც ქვეყანას მაპი აღარ სჭირდება და მაპის გარეშე წევრიანდება. ეს აბსოლუტურად შესაძლებელია.



***– გაწევრიანების გზაზე რეალური პრობლემა რამდენად არის ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები?***

– ოკუპირებული ტერიტორიები საფრთხესთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ომის განახლების საფრთხესთან. ნატოში გაწევრიანება გულისხმობს ალიანსის უსაფრთხოების არა დაკნინებას, არამედ გაზრდას. როდესაც ახალ ქვეყანას იღებენ ალიანსში, მან ახალი უნდა შემატოს უსაფრთხოების თვალსაზრისით ალიანსს და არა პირიქით. სწორედ ამიტომ ეს კონფლიქტები გვირთულებს ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური წინაღობა. მისი გადალახვა შესაძლებელია.

***– როგორ?***

– თუ ჩვენი ნატოში გაწევრიანება იქნება უფრო მეტი ინტერესის საგანი ნატოსთვის, ვიდრე ის რისკები, რომლებიც ჩნდება და თუ გადაწონის ინტერესი, რომელიც საქართველოს მიმართ ჩნდება, მაშინ საქართველოს მიიღებენ.

***– რითი უნდა გადავწონოთ, მეტი ინტერესი როგორ უნდა გავუჩინოთ ნატოს?***

– ჯერ ერთი, საქართველო ისეთ რეგიონში მდებარეობს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად პოლიტიკური თვალსაზრისით. ასევე საქართველო არის ალიანსის ერთგული პარტნიორი. ეს ნატოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ამ რეგიონში. ეს უზრუნველყოს ნატოს შესაძლებლობას, რომ წვდომა ჰქონდეს რეგიონზე. წვდომა ნიშნავს ასევე შეკავების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა იზრდება, როდესაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყანა ალიანსის წევრია.

ასევე, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი იზრდება. ეს დემოკრატია უნდა იყოს დაცული, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებში გავრცელდეს და ა.შ. ეს არის იდეოლოგიური ბრძოლა რუსეთსა და დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს შორის. ამ დაპირისპირების ფრონტის ხაზზე მდებარეობს საქართველო. საქართველოს ალიანსში გაწევრიანება დემოკრატიული სამყაროს შესაძლებლობების გაზრდას ნიშნავს.

# „სააკაშვილი თბილისში დასაბრუნებლად ემზადება“

**რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტა“ ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიერ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გამოსვლას ეხმაურება.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:**

სააკაშვილმა ინტერვიუში ისაუბრა თავის თვალსაზრისზე სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, გააკრიტიკა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, აქო და ადიდა საკუთარი პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მტკიცე პირობა დადო, რომ სამშობლოში აუცილებლად დაბრუნდება.

– როდის გამოჩნდება იგი თბილისში, მიხეილ სააკაშვილს არ დაუზუსტებია, მაგრამ აშკარაა, ექსპრეზიდენტი ამის გაკეთებას მხოლოდ მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემდეგ თუ შეძლებს, – წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“ (სტატიის ავტორი იური როქსი).

ჯერჯერობით საქართველოში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის ბრალდებები კვლავ ძალაშია და, თუ ქვეყანაში ხელისუფლება არ შეიცვლება, მას იმავე წუთში დააპატიმრებენ, როგორც კი საქართველოს საზღვარს გადმოლახავს.

და თუ საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაცმოძრაობა გაიმარჯვებს, ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე რომელიმე ლამაზი ფორმულირებით შეწყდება. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი პარლამენტის ერთ-ერთ პირველივე სხდომაზე დადგება საკითხი მისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების თაობაზე, რომელიც მან ავტომატურად დაკარგა გასულ წელს, უკრაინის მოქალაქეობის მიღების შემდეგ. საერთოდ კი, რასაკვირველია, მოქალაქეობის დაბრუნების გარეშე ექსპრეზიდენტს საქართველოში არაფერი ესაქმება. არადა, ამბიციური ენერგიული პოლიტიკოსისათვის უკრაინის ოდესის ოლქი ნამდვილად პატარაა, მას უფრო მეტი სივრცე სჭირდება, მეტი ყურადღება, მეტი გავლენა და აქტიური მონაწილეობა „ასწლეულის პროექტების“ რეალიზებაში... მას სურს, რომ მსოფლიო ფორუმებში სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით გამოვიდეს.

თავის სატელევიზიო გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ შემოდგომაზე ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება ანუ, მისი ვარაუდით, ერთიანი ნაცმოძრაობა რევანშს აიღებს, ხოლო დღევანდელი მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“, თავის არაფორმალურ ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან ერთად, ისტორიას ჩაბარდება: „იგი ოლიგარქი, კლასიკური ფეოდალია, რომელიც ფულით ნაყიდ წითელ პროფესორებს ეყრდნობა. ბიძინა ივანიშვილი თავისივე მსგავსი პიროვნების – ასლან აბაშიძის ბედს გაიზიარებს“. მიხეილ სააკაშვილის ეს გამონათქვამი მოწმობს, რომ საქართველოდან გაქცევის შემდეგ ექსპრეზიდენტი პრაქტიკულად არ შეცვლილა – იგივე იარლიყების მიწებება, იგივე შეურაცხმყოფელი ტონი... გავიხსენოთ, რომ მან პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში, ერთ-ერთი გამოსვლის დროს, „წითელ პროფესურას“ უნიტაზში ჩასარეცხები უწოდა.



რასაკვირველია, ტელეინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე მეტად ჯავრი ბიძინა ივანიშვილზე იყარა: როგორც ჩანს, ექსპრეზიდენტს დღემდე ახსოვს ის წყენა, რომელიც მასში 2012 წლის არჩევნებში დამარცხებამ და ქვეყნიდან წასვლამ გამოიწვია. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილმა, არც მეტი, არც ნაკლები, ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკური განვითარების ექსმინისტრ კახა ბენდუქიძის სიკვდილში დაადანაშაულა: „ივანიშვილმა უამრავი პროექტი დაასამარა... მან შეაჩერა ბათუმში ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობა და პირადად მოკლა კახა ბედუქიძე“, – განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

მან ტელემაყურებლებს აუწყა: „სიკვდილის წინა დღეებში კახა ბენდუქიძეს მითხრა, რომ ბიძინა ივანიშვილი ციხეში ჩასმით ემუქრებოდა. ბიძინამ კახა ბენდუქიძე სამარემდე მიიყვანა“. მიხეილ სააკაშვილი ინტერვიუში შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შუალედური არჩევნების დროს ზუგდიდის რაიონის კორცხელის თემში მომხდარ ინციდენტს. „ხალხს ვერ შეაშინებ“, – ასეთი რეზიუმე გააკეთა მან და ორ საარჩევნო ოლქში ნაციონალი კანდიდატების გამარჯვებას „ისტორიული“ უწოდა. მისი მტკიცებით, პარლამენტის შემოდგომის არჩევნებში „რევანში გარდაუვალია“.

– ექსპრეზიდენტის გამოსვლამ თბილისში არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. თვით ნაციონალების ბანაკში პერიოდულად ისმის საუბარი იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის გუშინდელი დღეა და რომ მისი დაბრუნება საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტად არ გამოდგება. საერთოდ კი, მისი დაბრუნებისა ცოტას თუ სჯერა – ყოფილი პრეზიდენტის ტელეგანცხადებები ნაციონალებისთვის მხოლოდ აგრესიული საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ელემენტად ითვლება, – აღნიშნულია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

# დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარეს იმპიჩმენტი ემუქრება

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილმა პარტია „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ 23 მაისს განაცხადა. ლაფანაშვილი პაატა ბურჭულაძის მოძრაობას „სახელმწიფო ხალხისთვის“ შეუერთდა. მეორე დღესვე, 24 მაისს, დუშეთის საკრებულოს 13-მა წევრმა მას უნდობლობა გამოუცხადა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი გადაყენება მოითხოვა.**



საკრებულოს წევრებს შორის, რომლებიც გიორგი ლაფანაშვილის გადაყენების მოთხოვნით რიგგარეშე სხდომის მოწვევას ითხოვენ, უმრავლესობა „ქართული ოცნების“ წევრია. იმპიჩმენტის შესახებ განცხადებას ხელს აწერენ: გიორგი ინაშვილი – „ქართული ოცნება“; გიორგი რუბაშვილი – „ქართული ოცნება“; გივი ზურაბაშვილი – „თავისუფალი დემოკრატები-ქართული ოცნება“; გიორგი ცოკილაური – „კონსერვატორები-ქართული ოცნება“; გიორგი კობიაშვილი – „ქართული ოცნება“; ტარიელ ჩხუტიაშვილი – „ქართული ოცნება“; ნუკრი უნდილაშვილი – „კონსერვატორები-ქართული ოცნება“; როინ პეტრიაშვილი – „ქართული ოცნება“; სალომე კაკაბლიშვილი – „ქართული ოცნება“; ლევან შერმადინი – დამოუკიდებელი; ქეთევან კახურაშვილი – „რესპუბლიკელები-ქართული ოცნება“; ემზარ მამულაშვილი – „თავისუფალი დემოკრატები-ქართული ოცნება“; მამუკა აფციაური – „ქართული ოცნება“.

განცხადებაზე ხელმომწერი დეპუტატების უმრავლესობა იმპიჩმენტის მიზეზებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. ერთ-ერთმა მათგანმა როინ პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ლაფანაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადება მის მიერ „ქართული ოცნების“ დატოვებასთან კავშირში არ არის. ქეთევან კახურაშვილის თქმით კი, იმპიჩმენტის დაყენების საკითხი ნაწილობრივ სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება.

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის საჯარო მმართველობის მონიტორინგის მიმართულების ხელმძღვანელის, იურისტ გელა შაშიაშვილის განმარტებით, საკრებულოს თავმჯდომარე ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირია, ამიტომ თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დასმა არ არის დამოკიდებული სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების ხარისხზე.

– თუ საკრებულოს თავმჯდომარემ დაკარგა საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, საკრებულოს ნებისმიერ დროს შეუძლია, რომ თუნდაც ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გადააყენოს იგი თანამდებობიდან, – ამბობს გელა შაშიაშვილი.

მისივე თქმით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება საკრებულოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

კანონის მიხედვით, თანამდებობიდან გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-მა. გადაწყვეტილება კი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას სხდომაზე მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკრებულოს თავმჯდომარე მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ან 3 დღის ვადაში აქვეყნებს მოტივირებულ უარყოფით პასუხს. თუკი თავმჯდომარე არ დანიშნავს რიგგარეშე სხდომას, საკრებულო უფლებამოსილია თვითონ შეიკრიბოს მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის თავზე.

დუშეთის საკრებულო 33 დეპუტატისგან შედგება, შესაბამისად, თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, რომ მას მხარი დაუჭიროს, სულ ცოტა, 17-მა დეპუტატმა.

გიორგი ლაფანაშვილი აცხადებს, რომ თანამდებობის დატოვებას თავად აპირებს.

– გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებას ვაპირებდი რეგლამენტით გათვალისწინებული სესიის დროს, რომელიც 3 ივნისს უწევს. მათ მოითხოვეს რიგგარეშე სხდომა, რომელიც ჩატარდება რამდენიმე დღით ადრე, 31 მაისს. განსხვავება ეს არის – რამდენიმე დღით ადრე მომიწევს განცხადების გაკეთება. მათი რეაქცია აბსოლუტურად ბუნებრივია, როგორც პარტიის, ეს ჩემთვის ჩვეულებრივი პროცესია. ეს ჩემი პოლიტიკური ნება და არჩევანია. შეაგროვებენ თუ არა იმპიჩმენტისთვის საჭირო ხმების რაოდენობას ეს უკვე მეორეხარისხოვანია, რადგან მე გადადგომას თვითონ ვაპირებ, – განუცხადა ლაფანაშვილმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

გიორგი ლაფანაშვილი „ქართული ოცნების“ წევრი 2012 წლის 25 დეკემბრიდან იყო. პარტიის დატოვების მიზეზად მან წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შეუსრულებლობა დაასახელა.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ფიფას წარმომადგენლები სოხუმში აპირებენ ჩასვლას

შორენა მარსაგიშვილი






## საქართველოს საგარეო უწყება სანქციებით იმუქრება

**მაშინ, როცა მსოფლიოს ყურადღება ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ იყო მიპყრობილი, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ნაწილმა თვალი სოხუმისკენ გააპარა ცოტა ხნით. იქ ფიფას მიერ არაღიარებული ქვეყნების მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნა ფეხბურთში.**

ამ ჩემპიონატისთვის აფხაზები რამდენიმე თვეა ინტენსიურად ემზადებიან. იმისთვის, რომ მსოფლიოს წინაშე თავი არ მოსჭროდათ, ჩემპიონატის დაწყებამდე სოხუმის მერიამ მსხვილფეხა პირუტყვს ნამდვილი ომი გამოუცხადა. საქმე ის გახლავთ, რომ სოხუმის ქუჩებში ნახირი თავისუფლად გადაადგილდებოდა. ამის შემხედვარე ერთ-ერთი ტურისტი კარგა ხანს ვერ დააჯერეს, რომ აფხაზეთში იყო და არა – ინდოეთში.

გათავხედებული ძროხების თარეში, მართალია, აიკრძალა სოხუმში, მაგრამ აფხაზები სხვა პრობლემის წინაშე დააყენა არაღიარებულთა მსოფლიოს ჩემპიონატმა. ამ ჩემპიონატზე ისეთი ქვეყნები მონაწილეობენ, რომელთა მოძიება რუკაზე შეუძლებელია. ისინი ძირითადად ეგზოტიკურ მხარეს წარმოადგენენ და, როგორც აფხაზები ამბობენ, შესაძლოა ეგზოტიკური დაავადებებიც ჩაიტანონ.

სოხუმში ყველაზე მეტად ზიკას ვირუსის ეშინოდათ. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სოხუმის სანეპიდსადგურმა ქალაქში კოღოებს მუსრი გაავლო.

– ფეხბურთელებს სამედიცინო შემოწმება გავლილი აქვთ, მაგრამ მათთან ერთად ჩამოსული დელეგაციის წევრები შესაძლოა რაიმე სენით იყვნენ დაავადებული, რომელიც კოღოს ნაკბენით გადადის. ამიტომაც გავატარეთ ღონისძიებები და კოღოები დავხოცეთ, – აცხადებენ სოხუმის სანეპიდსადგურში.

არაღიარებულთა ჩემპიონატზე 12 არაღიარებული სახელმწიფოს საფეხბურთო გუნდი მონაწილეობს. ესენი არიან: აფხაზეთის, ქურთისტანის, ჩრდილოეთ კვიპროსის, პენჯაბის, ჩაგოს კუნძულის, პადანიის, რეციის, ლაპლანდიის, სომალილენდის, სეკეის, კორეელების ერთობა იაპონიაში და დასავლეთ სომხეთის გუნდები.

თავდაპირველად ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველი უფრო მეტი იყო, მაგრამ ზოგიერთებმა მოგვიანებით უარი განაცხადეს. მაგალითად, სიიდან ამოვარდნენ ნიცის საგრაფო, კუნძული მენი. სოხუმში გამომგზავრება ვერ შეძლო სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ხალხის – აიმარელთა გუნდმა.

ჩემპიონატის მიმდინარეობას 16 მსაჯი გააკონტროლებს. მსაჯთა უმეტესობა რუსეთიდან მიიწვიეს.

არაღიარებულთა პირველი ჩემპიონატი 2014 წელს გაიმართა შვედეთში. კონიფას ეგიდით გამართულ ტურნირში ნიცის საგრაფოს გუნდმა ფინალში კუნძულ მენის ნაკრები დაამარცხა. სირიელ არამეელთა გუნდმა კი მესამე ადგილისათვის ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის ნაკრებს მოუგო.

ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე სოხუმში კონიფას პრეზიდენტმა

პიერ ანდერს ბლინდმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

მან საქართველოს ხელისუფლება მუქარებსა და ზეწოლებში დაადანაშაულა და ლამის ბურთი დაიფიცა, რომ მათი ტურნირი პოლიტიკური ხასიათის არ არის.

– ჩვენს ჩემპიონატს პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. ტურნირი მშვიდობიანი პროექტია და მასში ხუთივე კონტინენტის წარგზავნილები მონაწილეობენ. ჩვენი ამოცანაა, მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ, ხელოვნურად აღმართული ბარიერების მიუხედავად, მაინც ერთიანობას ვინარჩუნებთ. კედლების აღმართვა ხალხებს შორის პოლიტიკოსთა ხელობაა, ჩვენი მიზანი კი ამ კედლების დანგრევაა. აფხაზეთს ბევრი მსოფლიოს შორეულ კუთხედ მოიხსენიებს. მე იმ ადამიანთა რიცხვში ვარ, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, ფარდა გადასწიონ და აფხაზეთი მსოფლიოს აჩვენონ, – განაცხადა ბლინდმა.

მისი მტკიცებით, ამ ჩემპიონატზე უამრავი ჟურნალისტია აკრედიტებული. ბლინდის აზრით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოს ეს ტურნირი ძალიან აინტერესებს.

კონიფას პრეზიდენტი უკმაყოფილოა იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება შეეცადა, ეს საფეხბურთო ზეიმი ჩაეშალა.

– საქართველოს მხრიდან გარკვეული რეაქცია იქნა გამოხატული, ორგანიზაციის წევრების მიმართ მუქარები ისმოდა... გარდა ამისა, გარკვეული ზეწოლა განახორციელეს შვედეთისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროებმაც – ისინი შეეცადნენ, რომ თავიანთ მოქალაქეებს აფხაზეთში გამგზავრება გადაეფიქრებინათ, – აღნიშნა კონიფას პრეზიდენტმა.

ამ ჩემპიონატს და მასში მონაწილე ქვეყნებს ფიფა არ აღიარებს. ბლინდს თუ დავუჯერებთ, ამ ღონისძიებით ფიფაც დაინტერესებულია.

მისივე მტკიცებით, სოხუმში ფიფას წარმომადგენლების ჩამოსვლასაც ელოდებიან. თუ ბლინდი არაფერს გვატყუებს, ისინი აფხაზეთს დღეს, 30 მაისს, უნდა ესტუმრონ.

– ჩვენ ფიფას წარმომადგენლების ვიზიტს ველოდებით. ისინი ჩემპიონატის მიმდინარეობას დააკვირდებიან. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ტურნირი საუკეთესო იქნება კონიფას არსებობის ისტორიაში გამართული ტურნირებიდან, – აღნიშნა ბლინდმა.

სოხუმში კონიფას გენერალური მდივანი ალექსანდრ დიერკოპიც იმყოფება. მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ არაღიარებული სახელმწიფოებისთვის მსგავსი ტურნირები აუცილებელია.

მისი თქმით, ასეთი ტურნირები არაღიარებულებს ეხმარება, გარკვეული ფორმით მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში.

სოხუმში აკრედიტებულ ჟურნალისტებთან საუბარში მან უარყოფითად შეაფასა ფიფას პოზიციაც და მის ინსტრუქციებს უსამართლო და არათანმიმდევრული უწოდა.

კონიფას გენმდივნის თქმით, ფიფას წესდებაში არასწორადაა განსაზღვრული, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება იყოს მისი წევრი.

ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ გიბრალტარი (დიდი ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორია) და კოსოვო ამ ცოტა ხნის წინ, 12 მაისს, ფიფას წევრები გახდნენ. იმის მიუხედავად, რომ ისინი გაეროს წევრები არ არიან, მათ უკვე აქვთ საერთაშორისო ტურნირებში სრულფასოვნად მონაწილეობის უფლება.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ფიფას გადაწყვეტილებას გიბრალტარისა და კოსოვოს მიღების თაობაზე. მათი ხელისუფლება საკუთარ ტერიტორიებს აკონტროლებს, მაგრამ მაშინ იგივე წესი უნდა გავრცელდეს აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის, ჩრდილოეთ კვიპროსისა და სამხრეთ ოსეთის მიმართაც. – აღნიშნავს კონიფას გენმდივანი.

ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზეთის ხელისუფლებაც. აფხაზთა პრემიერი არტურ მიქვაბია ამბობს, რომ ამ ტურნირს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

– ჩვენთვის, საბოლოო ჯამში, ეს არის შანსი, ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს, რომ აქ ნორმალური ხალხი ცხოვრობს, რომელსაც არა მარტო ფეხბურთი უყვარს, არამედ იცის, როგორ მიიღოს სტუმრები და გამართოს დიდი სპორტული ღონისძიებები. და პოლიტიკასთან ამას საერთო არაფერი აქვს. აქ საუბარია მხოლოდ სპორტზე, – აღნიშნა მედიასთან საუბარში არტურ მიქვაბიამ.

◆ ◆ ◆

მართალია, აფხაზებიცა და კონიფას თავკაცებიც ამტკიცებენ, ეს ტურნირი მხოლოდ სპორტულიაო, მაგრამ ოფიციალური თბილისი ამას მაინც პოლიტიკურ შეფასებას აძლევს.

საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აცხადებს, რომ აფხაზეთში ჩატარებულ არანაირ საფეხბურთო ტურნირს ლეგიტიმაცია არ ექნება.

მინისტრი ასევე გამოეხმაურა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში ფიფას წარმომადგენლები აპირებენ ჩასვლას.

– რაც შეეხება აფხაზეთში ფიფას წარმომადგენლის ჩასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ეს დადასტურებული არ არის. ჩვენ ვამოწმებთ ამ ინფორმაციას და, თუ დადასტურდა, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

◆ ◆ ◆

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტურნირში ისეთი ქვეყნები მონაწილეობენ, რომელთა დიდი ნაწილი რუკაზეც არ არის. შესაბამისად, მათი საფეხბურთო შესაძლებლობებიც არავინ იცის.

აფხაზური მედიის ცნობით, აფხაზი ფეხბურთელები მთავარ მეტოქედ პადანიის – იტალიის ჩრდილოეთში მოქმედი სეპარატისტული მოძრაობის გუნდს მიიჩნევენ. ამ გუნდმა გასულ წელს კონიფას ტურნირი მოიგო.

– ჩვენთვის, აფხაზებისთვის, დამოუკიდებელი საფეხბურთო ასოციაციების კონფედერაციაში შესვლა გაურკვეველი ვითარებიდან გამოსავლად იქცა. კონიფას ყველა წევრისთვის ესაა შესაძლებლობა, სპორტის მეშვეობით განაცხადოს საკუთარი სწრაფვების შესახებ. ჩვენ ყველა ერთ მდგომარეობაში ვართ და მთელ სულსა და გულს ვდებთ ამ საქმეში, რადგან გვსურს, ვუჩვენოთ მსოფლიოს, რომ სხვებზე უარესები არაფრით ვართ, – აცხადებს კონიფას ვიცეპრეზიდენტი დიმიტრი ფალავა.

ენგურსგამოღმა საქართველოში განსაკუთრებული ინტერესი დასავლეთ სომხეთის ნაკრებმა გამოიწვია. ასეთი სახელმწიფო რუკაზე არ არსებობს. ჩვენ მისი წარმომავლობის გარკვევა ყოფილ დეპუტატ ვან ბაიბურთთან ვცადეთ.

– საბჭოთა კავშირის დროს თურქეთის ნაწილს ასე ეწერა – დასავლეთ სომხეთი. ეს სომხეთის ტერიტორია გახლავთ, თუმცა იქ სომხეთის იურისდიქცია არ ვრცელდება. ასე რომ, დასავლეთ სომხეთი არ ვიცი, სად არის. ამ ნაკრების შემადგენლობაში, სავარაუდოდ, რუსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური სომხები ითამაშებენ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ვან ბაიბურთმა.

# „ვინც დამაფასებთ, მიაწერეთ...“

## ჟურნალისტი ზვიად თხელიძე პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი

ტელეკომპანია ჯიდიესის გადაცემა 20/30-ის ჟურნალისტი ზვიად თხელიძე პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დუშეთის რაიონის ხადას ხეობაში ტრაგიკულად დაიღუპა.

ზვიადი ხეობაში კოლეგებთან ერთად გადაღებაზე იმყოფებოდა. როგორც კოლეგები ყვებიან, მას მდინარეში გადასაღები აპარატურა ჩაუვარდა, ამოღების მცდელობისას კი მდინარეში ჩავარდა და დინებამ გაიტაცა.

სამაშველო ოპერაციაში რამდენიმე ათეული მაშველი მონაწილეობდა. მათ ზვიად თხელიძის ცხედარი გუშინ, 29 მაისს, გამთენიისას იპოვეს.

ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე ზვიად თხელიძემ სოციალური ქსელით ფოტო გამოაქვეყნა. ამ ფოტოზე გამოსახულია საფლავის ქვა. მასზე, გარდაცვლილის სახელისა და გვარის გარდა, შემდეგი სიტყვები აწერია: დამაფასა შვილმა. ზვიადს ამ ფოტოზე ასეთი რამ აქვს მიწერილი: „ვინც დამაფასებთ, მიაწერეთ...“

20/30-ში მომხდარით ყველანი გაოგნებული არიან და საუბარი ყველას უჭირს. ამბობენ, რომ ზვიად თხელიძეს ძალიან უყვარდა თავისი პროფესია და შემთხვევითი არაა, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა.

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი კობა ლიკლიკაძე ამბობს, რომ ზვიადი თავდადებული პროფესიონალი იყო და ერთ ამბავსაც იხსენებს, საიდანაც მათი ნაცნობობა დაიწყო.




– 5 წლის წინ გავიცანი ჟურნალისტი ზვიად თხელიძე. წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცის დაკრძალვის გაშუქებაც აკრძალული იყო, ზვიადი ჩავიდა ციხე სულორში და ჩვენი რადიოს შტატგარეშე ჟურნალისტის მოვალეობა უანგაროდ და პროფესიულად შეასრულა! ასეთივე უანგარობითა და პროფესიული თავდადებით დარჩება ის ჩემს გულში! – წერს კობა ლიკლიკაძე სოციალურ ქსელში.

ჟურნალისტი დალი გოგოლაძე კი იმას იხსენებს, როგორ გახდა „გაზეთჩიკი“ თხელიძე ერთ-ერთი საუკეთესო ტელეჟურნალისტი.

– „დილის გაზეთიდან“ მოვიდა ზვიადი ტვ 202-ში. გუშინდელივით მახსოვს, კამერასთან კომენტარსაც კი გაურბოდა....არ მოსწონდა 30-წამიანი ტექსტები... თავდაცვის თემებს აშუქებდა და ყველაფრის ჩატევა უნდოდა კადრსინქრონის ტექსტში. ნიჭიერებამ თავისი ქნა და „გაზეთჩიკი“ მალე საუკეთესო ტელეჟურნალისტად მოგვევლინა ყველას, – ამბობს დალი გოგოლაძე.

მისი კოლეგა ირაკლი მანაგაძე იხსენებს, რომ ზვიადს შეეძლო, ბოლომდე მოესმინა მისთვის ყველაზე მიუღებელი პოზიციაც კი.

– 2008 წელს მივედით ერთად ერთ-ერთ გამოცემაში სამუშაოდ. ის – სამხედრო თემის რედაქტორად, მე – კონფლიქტებისა და პოლიტიკის. გვიან, როცა სამსახურს ვამთავრებდით, მანქანას ჯერ ის მიჰყავდა მუხიანში, მერე მე – გლდანში, პრაქტიკულად, გვერდიგვერდ ვცხოვრობდით.

ზვიადი საინტერესო ადამიანი და პროფესიონალი იყო. მას მერე არაერთხელ გადაიკვეთა ჩვენი საქმიანი გზები... და შეხვედრები, საუბრები პოლიტიკაზე, სამხედრო თემაზე... ყველაზე მაგარი თვისება, რომელიც ჰქონდა, იცოდა მოსმენა და გაზიარება თუნდაც ყველაზე მიუღებელი პოზიციისა, – იხსენებს ირაკლი მანაგაძე.

◆ ◆ ◆

ზვიად თხელიძემ მაყურებელს ბევრი რამით დაამახსოვრა თავი. 2008 წელს ის აგვისტოს ომს აშუქებდა. მოგვიანებით იყო წამყვანი გადაცემისა „გრიფის გარეშე“, ბოლოს კი 20/30-ზე საავტორო რეპორტაჟებს აკეთებდა.

ხადაშიც საავტორო რეპორტაჟისთვის იყო და ეს რეპორტაჟიც განსაკუთრებული იქნებოდა, როგორც მისი სხვა რეპორტაჟები. სამწუხაროდ, ამ რეპორტაჟის მომზადება აღარ დასცალდა.

ზვიად თხელიძეს მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბიძინა ივანიშვილი უკრაინელ და ყაზახ მილიარდერებზე მდიდარია

ფორბსის 2016 წლის მილიარდერთა რეიტინგში პოსტსაბჭოთა სივრციდან, რუსეთის გარდა, მხოლოდ 11 მილიარდერი მოხვდა, მათ შორის 5 უკრაინიდან, 5 ყაზახეთიდან, 1 კი – საქართველოდან.

რეიტინგის თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უკრაინელ და ყაზახ მილიარდერებზე მდიდარია.

ფორბსის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის ქონება დღეისთვის 4,8 მილიარდი დოლარია და ამ მაჩვენებლით ყოფილი პრემიერი მსოფლიოს მილიარდერებს შორის 298-ე პოზიციაზეა.

რაც შეეხება უკრაინისა და ყაზახეთის ყველაზე მდიდარ ადამიანებს, „ფორბსის“ რეიტინგის მიხედვით, უკრაინის უპირველესი მილიარდერის რინატ ახმეტოვის ქონება 2,7 მილიარდი დოლარია, იგორ კოლომოისკის – 1,4 მილიარდი დოლარი, გენადი ბოგოლიუბოვის – 1,4 მილიარდი დოლარი, ვიქტორ პინჩუკის – 1,3 მილიარდი დოლარი, იური კოსიუკის კი – 1,2 მილიარდი დოლარი.

უკრაინის მსგავსად, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 5 მილიარდერით არის წარმოდგენილი ყაზახეთიც.

ყაზახეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბულატ უტემარატოვის ქონება 2,4 მილიარდი დოლარია, ქვეყნის ყველაზე მდიდარი ქალი, ყაზახეთის პრეზიდენტის ქალიშვილი დინარა კულიბაევა 2,2 მილიარდი დოლარის მფლობელია, ამდენივეს ფლობს მისი მეუღლე ტიმურ კულიბაევი, 1,8 მილიარდ დოლარს შეადგენს ალიჯან იბრაჰიმოვის ქონება, მილიარდერი ვლადიმირ კიმი კი 1,6 მილიარდ დოლარს ფლობს.

**ბიპიენი**

# ძველ ბინებზე მოთხოვნა ეცემა



მეორად უძრავ ქონებაზე ფასები და მოთხოვნა მკვეთრად მცირდება. ამის შესახებ სპეციალისტები „კომერსანტთან“ საუბრობენ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის აპრილში, გასული წლის იმავე თვესთან შედარებით, უძრავი ქონების ტრანზაქციების რაოდენობა 32%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, პირველადი ტრანზაქციები გაზრდილია 76%-ით, ხოლო მეორედი ტრანზაქციები – 23%-ით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის მკვლევარი ლარისა პატარაია ამბობს, რომ ზოგადად მეორადი უძრავი ქონება საქართველოში ამორტიზებულია და ბევრი ადამიანი ერიდება ასეთი ტიპის ტრანზაქციას. ფასთა შორის სხვაობაც ახალაშენებულ უძრავ ქონებასა და მეორადს შორის ძალიან დაბალია.

უძრავი ქონების ბაზარი გაჯერებული გახდა. ამიტომ, როდესაც ფასებს შორის სხვაობა აღარ არის, მომხმარებელი არჩევანს პირველად ქონებაზე აკეთებს, რადგან მიაჩნია, რომ ის უფრო მდგრადია და დიდი ხნის განმავლობაში იქნება სიცოცხლისუნარიანი.

ბიზნესსკოლის მკვლევარი ამბობს, რომ რაც უფრო გავა დრო, მით უფრო შესამჩნევი გახდება სხვაობა პირველად და მეორად ტრანზაქციებს შორის და მეორადი უძრავი ქონება მეტად გაუფასურდება.

მისივე შეფასებით, უძრავი ქონების ინდუსტრია მთლიანობაში ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს როგორც ეკონომიკური აქტივობის, ისე ინვესტიციების კუთხით.

უძრავი ქონების კომპანია 2X2-ის ბროკერი ლევან ფაილოძე ამბობს, რომ ზოგადად გაყიდვების ზრდაზე ყველაზე მეტად გავლენა ლარის გამყარებამ მოახდინა. მისივე თქმით, წინა წლებთან შედარებით, სტატისტიკის მიხედვით, გააქტიურებულია ახალი კორპუსების მშენებლობა, იზრდება გაყიდვები და უდიდესი პროცენტი მოდის ახალაშენებულ ბინებზე.

ფაილოძე ამბობს, რომ ძველ ბინებზე მოთხოვნა ეცემა, იაფდება ფასები. ბროკერის ინფორმაციითვე, დღეს მყიდველს შეუძლია გააკეთოს არჩევანი რამდენიმე ობიექტიდან, მიწოდება მაღალია და კონკურენციაც დიდია.

**სალომე სოსელია,**
**კომერსანტ.გე**

# რა რისკებს შეიცავს ქართული თაფლის ევროპაში გატანა

არავინ დავობს იმაზე, რომ ქართული თაფლი გემოთი და სხვა თვისებებით გამორჩეულია, თუმცა ამ ბაზარზე ფალსიფიკაციის შემთხვევებიც ხშირია. სწორედ ამიტომ სურსათის ეროვნული სააგენტო უკვე მესამე წელია იკვლევს ქართული თაფლის ნიმუშებს.

სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წელს გამოკვლეულ თაფლის ნიმუშებში დარღვევების წილი 37 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 19%-მდე შემცირდა. 2015 წლის 1 ივლისიდან ქვეყანაში თაფლის ტექნიკური რეგლამენტიც ამოქმედდა.

ამ და სხვა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო და ევროკომისიამ საქართველოში თაფლის ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვისთვის გატარებული ღონისძიებები დადებითად შეაფასა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ევროკავშირი საქართველოს მესამე ქვეყნების სიაში შეიყვანს, რის შემდეგაც, ქართველი მეწარმეები ევროპის ქვეყნებში თაფლის გატანას შეძლებენ.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ, კახა სოხაძემ ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, გამორიცხული არ არის, რომ შემოდგომაზე ქართული თაფლი ევროპის ბაზარზე ვიხილოთ.



ქართველი მეფუტკრეები აღნიშნულ მოვლენას დადებითად აფასებენ, მაგრამ იმ რისკებზეც საუბრობენ, რაც შეიძლება ევროპული ბაზრის გახსნას მოჰყვეს.

შპს „მეთაფლიას“ დამფუძნებელი როლანდ ზირაქიშვილი ამბობს, რომ როდესაც ქვეყანაში მოსავალი დაბალია და ეს პროდუქტი რომელიმე ბაზარზე გააქვთ, ეს აუცილებლად იწვევს მის გაძვირებას.

– თაფლის გაძვირებით კი, ჩვენი მომხმარებლის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. თანაც, თაფლის გატანით ჩვენს ბაზარზე თავისუფალი სივრცე შეიქმნება, რომელიც უცხოური პროდუქციით შეივსება და ჩვენი მომხმარებელი იძულებული გახდება, უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი თაფლი შეიძინოს, – ამბობს როლანდ ზირაქიშვილი.

მისი აზრით, ჯერ ჭარბი პროდუქცია უნდა შევქმნათ და მერე ვიფიქროთ საექსპორტო არეალის გაფართოებაზე.

– ამისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაა აუცილებელია, რაც ჩვენთან ჩანასახის დონეზეც კი არ არის, – აცხადებს მეთაფლე.

ევროპაში 1 კგ დაფასოებული თაფლი 30-40 დოლარი ღირს, საქართველოში კი თუნდაც 50 ლარად თაფლს არავინ იყიდის.

– ქართული თაფლი ექსპორტზე უნდა გავიტანოთ, მაგრამ ამ ყველაფრის მოგვარების შემდეგ. თუ ასე არ მოხდება, ქართულ ბაზარზე თაფლი გაძვირდება ან უხარისხო თაფლი მომრავლდება, – ამბობს ზირაქიშვილი.

მისი აზრით, საქართველოში თაფლს ძირითადად წვრილი ფერმერული მეურნეობები აწარმოებენ, ისინი ვერ ქმნიან ჭარბ პროდუქციას, ამიტომაც არის საჭირო კოოპერატიული მეურნეობების წახალისება. ქვეყანაში წამყვანი ადგილი უნდა ეკავოს საშუალო და არა – წვრილ მეურნეობებს, რომ დამატებითი პროდუქცია შევქმნათ. ამიტომაც არის საჭირო მეფუტკრეობის დარგის ხელშეწყობა და წახალისება სახელმწიფოს მიერ.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლებისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №3 23 05 2016) საფუძველზე 2016 წლის 30 მაისიდან აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:**

**I.**
**1. ჰუმანიტარული მეცნიერებანი 10**
**1.1 ფილოლოგია 1005**
ქართული ფილოლოგია – 100501
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ინგლისური ფილოლოგია – 100502
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**2. სოციალური მეცნიერებანი – 07**
**2.1. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა – 0703**
ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული
**3. ბიზნესის ადმინისტრირება – 02 (ქართულენოვან პროგრამაზე)**
**3.1. ფინანსები – 0204**
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
**3.2. საბუღალტრო აღრიცხვა – 0201**
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
**4. მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები – 11**
**4.1. ტურიზმი – 1120**
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**II. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

**2.1.**
ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) 1 ფოტო სურათი (3X4);
ე) უმაღლესი განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები ან ცნობა;
ვ) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
ზ) სამოტივაციო წერილი;
თ) სადისერტაციო ნაშრომის დასახელება და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.
ი) სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან ცნობა;
კ) რეფერირებად ან დარგობრივ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია;
– კონკურსანტს შეუძლია აგრეთვე დამატებით წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის ან პროექტში მონაწილეობის შესახებ;
ბ) ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული აკადემიური პროგრამების შესახებ;
გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში;

**2.2 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:**

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. მოეთხოვება: საგანმანათლებლო მიმართულების ძირითად საგნებში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ასახვა და შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა – დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში, მოეთხოვება: შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა – დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა;

გ) ასისიტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც თავისი კომპეტენციის შესაბამისად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში, ასევე, მას უნდა შეეძლოს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა და სტუდენტებთან პროფესიული ორიენტაციის გაღრმავების მიზნით მუშაობის წარმართვა;

ასისტენტ-პროფესორად ასევე შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი მიმართულების 4 წლის პროფესიული გამოცდილებით ან გავლილი აქვს სპეციალური მომზადება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 4 პუბლიკაცია;

**III. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდეს შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში „აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულების“ მიხედვით;**

**IV. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2016 წლის 29 ივლისს;**

**V. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 2 960190; 2 969033; 2519120; 2 960104;**

**VI. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს 2016 წლის 4 ივლისიდან 13 ივლისამდე, დილის 10.00-დან 16.00 საათამდე.**

**მისამართი:**
ქ.თბილისი, ნინოშვილის ქ. №55. IV სართული
ვებგვერდი: www.tbuniver.edu.ge
ელ.ფოსტა: tbuniver.edu@gmail.com

# თამაზ ხუბუა: „გიგა ოთხოზორიას მკვლელობით აფხაზები შეწუხებული არიან“

## „კანჯი-ოღლი ლაზი უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **თამაზ ხუბუა** ხურჩაში სეპარატისტთა ე.წ. მესაზღვრის მიერ გიგა ოთხოზორიას დემონსტრაციული მკვლელობას აფასებს და „ახალ თაობასთან“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აფხაზების განწყობებზე საუბრობს.

– ორი-სამი ზარი მქონდა აფხაზეთში და საკმაოდ სერიოზული ადამიანებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ ძალიან შეწუხებული და დაინტერესებული არიან, ყველაფერი გაირკვეს, – განაცხადა თამაზ ხუბუამ.

მისი თქმით, გვარის მიხედვით კანჯი-ოღლი ლაზია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას, იმიტომ რომ ის არის მეგრელი, აფხაზი არ არის. ის დაქირავებული ან თურქეთიდან წამოსული სულგაყიდული ადამიანია:

– არ მინდა, ვინმემ ქსენოფობია დამდოს ბრალად, მაგრამ, როცა თვალწინ უდანაშაულო კაცს განსაკუთრებული ცინიზმით მოგიკლავენ, ქვეყნის შესაბამისმა სამსახურმა მიწიდან უნდა ამოიღოს, იპოვოს და დასაჯოს ნაძირალა მკვლელი, მით უმეტეს, როგორც ცხადდება, ის იდენტიფიცირებულია.

***– მკვლელი სპეცსამსახურებმა უნდა იპოვონ და გაანადგურონ?***

– მინდა, დააკავონ.

***– არანაკლები ცინიზმით ჩადენილი დანაშაულები ვიცით აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, მაგრამ დამნაშავე პირების ძებნაც კი არ გამოუცხადებიათ.***

– დიახ, იგივე შეიძლება ითქვას ანწუხელიძისა და სხვა მებრძოლი ბიჭების სისასტიკით მკვლელობაზე, დახვრეტებზე. შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი აცხადებს, ერთჯერადი ფაქტია, სისტემატური ხასიათი არ აქვსო. ყოველწლიურად ხდება საზარელი მკვლელობები. ხურჩაში მომხდარი მკვლელობა თავისი ცინიზმით განსაკუთრებული იყო – საოკუპაციო ხაზის აქეთ გადმოვიდა, გამოედევნა, თანამემამულეების თვალწინ ჩაცხრილა და საკონტროლო ესროლა თავში.

პირდაპირ ვამბობ – სპეცსამსახურებს დამნაშავე უკვე დაკავებული და გადმოყვანილი უნდა ჰყავდეთ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს არის ღირსეული ერის, ღირსეული სპეცსამსახურის, ღირსეული ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯი.

***– თქვენ აფხაზების ფსიქოლოგიასა და განწყობებს იცნობთ. როგორ შეხვდებოდნენ ისინი კანჯი-ოღლის ჩადენილ მკვლელობას?***

– რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ვფიქრობ, ისინი ძალიან შეწუხებულები არიან. თუ ჩემი ვარაუდები გამართლდა, ძალიან უნდა შეუწყონ ხელი კანჯი-ოღლის დაპატიმრებასა და გადმოცემას. მაშინ ვირწმუნებ ბოლომდე, რომ აფხაზებს ყველაფერი დაკარგული არ აქვთ. .

***– ინფორმაცია იყო. რომ ის იმყოფება სოხუმში, 2 საათით ჰყავდათ დაკავებული, გაუშვეს და უთხრეს, რომ ბინიდან არ გამოვიდეს. თუ გაქვთ ამ მიმართულებით რაიმე ინფორმაცია?***

– ამის თაობაზე ინფორმაცია არ მაქვს. ორი-სამი ზარი მქონდა აფხაზეთში და საკმაოდ სერიოზული ადამიანებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ ძალიან შეწუხებული და დაინტერესებული არიან, ყველაფერი გაირკვეს, თუმცა ეს მაინც პრივატული და ვერბალური საუბარია.



***– რატომ შეიძლება შეჰქმნოდათ დისკომფორტი სეპარატისტებს?***

– სეპარატისტებს იმიტომ შეიძლებოდა შეჰქმნოდათ დისკომფორტი, რომ ისინი „დემოკრატიული სახელმწიფოს“ მშენებლობაზე საუბრობენ. თუ საქართველო მოინდომებს, ჩვენთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება უნდათ. მათი თქმით, „სახელმწიფოში“ დემოკრატიული ინსტიტუტები ისე მომძლავრდა, ყველაფერი თვალშისაცემია. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ სახეზეა სრული კრიმინალური, ადმინისტრაციული ანარქია. ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ამიტომ არიან ისინი შეწუხებულები.

***– უნდა ველოდოთ, რომ ქართველ სამართალდამცავებს დაეხმარებიან?***

– რატომღაც მგონია, რაღაც ღირსების მატარებელი ადამიანები კიდევ დარჩნენ სოხუმში დე ფაქტო ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებში. ისინი შეეცდებიან მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლას. მგონია, რომ ქართულ სპეცსამსახურებთან ითანამშრომლებენ.

***– კანჯი-ოღლი თურქეთიდან დაბრუნებული აფხაზია?***

– თუ გვარს დავუჯერებთ, ლაზია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას, იმიტომ რომ ის არის მეგრელი, აფხაზი არ არის. ის დაქირავებული ან თურქეთიდან წამოსული სულგაყიდული ადამიანია. ხელფასი მისცეს და დააყენეს საზღვარზე. არის ინფორმაციები, აფხაზი რომ ყოფილიყო, სეპარატისტები უფრო დაიფარავდნენ, გააქცევდნენ საზღვარგარეთ, მაგრამ მაინცდამაინც აფხაზად არ მიიჩნევენ, ამიტომ უფრო ადვილად შეიძლება გაწირონო. სატელეფონო საუბრებში მოვისმინე ამის მსგავსი ფაბულა.

***– აფხაზეთში ლაზები ცხოვრობენ?***

– ომის შემდეგ ზოგი ლაზი – სავაჭროდ, ზოგი საომრად ჩადის, ზოგი ნარკობიზნესსა და კრიმინალშია ჩართული, ზოგი სახლის საყიდლად მიდის. აქამდე მაინცდამაინც არსად გაჟღერებულა მისი სახელი.

***– რაიმე წინსვლას უნდა ველოდოთ გალის ინციდენტების პრევენციის ჯგუფის შეხვედრების განახლებით?***

– მე 4 წლის განმავლობაში ვიყავი საკოორდინაციო საბჭოში და პრევენციის ჯგუფის შეხვედრებშიც მიმიღია მონაწილეობა. ამიტომ ვიცი, რომ ეს ყველაფერი ბლეფია, სანამ აფხაზეთში რუსი ჯარისკაცი დგას. თითქოს მოლაპარაკებები მიდის. გაეროს რენომე რომ არ დაეცეს, იმიტომ არის შექმნილი ეს ჯგუფი. დაშლილი იყო და ახლა აღდგა, მაგრამ, 1998 წლიდან მოყოლებული, ამ ინციდენტების პრევენციის ჯგუფის შეხვედრებს ქართველი მოსახლეობისა და ქართულ-აფხაზური პოლიტიკური მოლაპარაკებების პრევენციისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. ასე იქნება შემდგომშიც, სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარი დგას და გალში თანამედროვე რუსული გულაგია.

# უნივერსიტეტი კანონიერ ჩარჩოებს უნდა დაუბრუნდეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ ჩარჩოებს. ეს პოზიცია უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლებმა რამდენიმესაათიანი შეხვედრისას დააფიქსირეს, რომელიც უნივერსიტეტში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაიმართა.



უნივერსიტეტის სტუდენტების მოსაზრებების გაცნობის მიზნით რექტორატი, აკადემიური საბჭო, ცენტრალური და ფაკულტეტების ადმინისტრაცია სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ისა და თსუ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

– აუცილებელია პროცესების მონაწილე ყველა სუბიექტთან შეხვედრა, რათა მივიღოთ რეალური სურათი და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა, – განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

„აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლების განცხადებით, სტუდენტურმა თვითმმართველობამ უნდა დატოვოს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოყოფილი ყველა ოთახი. ასევე აღნიშნეს, რომ ყველა სტუდენტურ გაერთიანებას უნდა მიეცეს თანაბარი პირობები და წვდომა აუდიტორიებზე და სთხოვეს ადმინისტრაციას განიხილონ მათი წინადადება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, სტუდენტური თვითმმართველობა, თავის მხრივ, მოითხოვს მათთვის ნორმალური სასწავლო და სამუშაო პირობების უზრუნველყოფას, ასევე „აუდიტორია 115“-ის მიერ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უკანონოდ დაკავებული აუდიტორიების გათავისუფლებას და თვითმმართველობის ოფისებში დაბრუნებას.

როგორც შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის დაძაბულობის განმუხტვისა და ვითარების ნორმალიზებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ყველა იმ კანონდარღვევის შეფასება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო თვეების მანძილზე. უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლებმა დაგმეს როგორც სენატის სხდომის ჩაშლის ფაქტი, რომელზეც კანცლერის არჩევნები უნდა გამართულიყო, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის წევრების შეჭრა რექტორატში, უნივერსიტეტის რექტორზე, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავაზე სტუდენტების მხრიდან ზეწოლის ფაქტი გადადგომის მოთხოვნით, 24 მაისს სტუდენტებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება, სტუდენტური თვითმმართველობის ოთახებში შეჭრა, საჯარო სივრცეში ურთიერთშეურაცხმყოფელი განცხადებები და სხვა ძალადობრივი ქმედებები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება, შევიდეს ცვლილებები უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში, მათ შორის ეთიკის კოდექსში, სადაც გამკაცრდება რეაგირება სტუდენტებისა და პროფესორების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებებისა და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უახლოეს დღეებში ჩაატარებს დაკავებული 213-ე და 303-ე აუდიტორიების ინვენტარიზაციას იქ არსებული მატერიალური ქონების აღწერის მიზნით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის პროცესის დაჩქარებას, რომლითაც უნდა განისაზღვროს სტუდენტურის თვითმმართველობის სტატუსი, თუ რა ფორმით მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტები უნივერსიტეტის მართვაში. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დაძაბულობის ფონზე, რადგან არსებული კანონმდებლობით სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდ გაწერილია და მომავალ ცვლილებამდე სტუდენტებს ამ კანონის ჩარჩოებში მუშაობის საშუალება უნდა შეეძლოთ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, დროული საკანონმდებლო ცვლილება პრობლემის დროულად გადაჭრას შეუწყობს ხელს.

**მედიანიუსი**

# დიპლომატებმა სამეგრელოს რეგიონის შესაძლებლობები გაიცნეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მიმდინარე დიპლომატიური ტურის ფარგლებში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა სამეგრელოს რეგიონის ეკონომიკური და ტურისტული შესაძლებლობები გაიცნეს.



უცხოელ ელჩებს რეგიონის პრეზენტაცია სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ გააცნო. მან დიპლომატებს ინფორმაცია მიაწოდა იმ ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომელიც რეგიონში განხორციელდა. გუბერნატორმა მადლობა გადაუხადა საგარეო უწყებას და დიპლომატებს სამეგრელოს რეგიონში სტუმრობისთვის.

რეგიონის პრეზენტაციისას ვრცლად ისაუბრეს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის შესახებ, პროექტის მიმდინარეობასა და პოტენციალზე.

დიპლომატებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ. საკუთარ გამოსვლაში, მინისტრმა ისაუბრა სამეგრელოს რეგიონის როგორც კულტურულ, ასევე ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რეგიონის საინვესტიციო და ეკონომიკურ პოტენციალზე.

– დიპლომატებმა მიიღეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. 3500-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამეგრელოში. დიპლომატებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია იმ ტურისტული შესაძლებლობების შესახებ, რომელიც რეგიონშია. ხაზი გაესვა სამეგრელოს რეგიონის მნიშვნელობას ლოჯისტიკური მიმართულებით, სატრანსპორტო მიმართულებით, მაგალითად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომელიც ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობებს რეგიონისთვის. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ძალიან ბევრი ახალი საწარმო იხსნება, პროდუქციას, რომელიც ექსპორტზე არის ორიენტირებული, ძალიან დიდი შემოსავალი შემოაქვს რეგიონისთვის. ეს ინფორმაცია საინტერესოა დღეს აქ წარმოდგენილი ელჩებისთვის, როგორც საექსპორტო პოტენციალის გასაცნობად, ასევე ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**მედიანიუსი**

# დაგორებულმა სატვირთო მანქანამ მცირეწლოვნის სიცოცხლე იმსხვერპლა

ჭიათურაში უბედურ შემთხვევას მცირეწლოვნის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ცნობით, დაგორებული სატვირთო ავტომანქანა ორ ბავშვს დაეჯახა.

როგორც მედიანიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ერთი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

უწყების ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

**მედიანიუსი**

## სირია: აშშ-მ ისლამისტების პოზიციებზე დარტყმა განახორციელა

აშშ-ის სამხედრო ავიაციამ ისლამისტებზე ძლიერი დარტყმა განახორციელა. დაბომბეს ექსტრემისტე-




ბის პოზიციები ალეპოსთან, ასევე სირია-თურქეთის საზღვართან. პარალელურად თურქულმა არტილერიამ ისლამისტებს ცეცხლი გაუხსნა.

შედეგად ლიკვიდირებულია 100-ზე მეტი ექსტრემისტი.

## გერმანიაში ლტოლვილებზე თავდასხმები გახშირდა

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრ დე მეზიერის განცხადებით, უკანასკნელ ხანს ქვეყანაში რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლინებები გახშირდა.



ეს ლტოლვილებისადმი უაღრესად აგრესიულ ქმედებებში აისახა.

– მხოლოდ იანვარში სირიელ ლტოლვილებზე 419 თავდასხმა განხორციელდა, – თქვა დე მეზიერმა.

## პუტინი სერბეთის პრემიერს რაკეტებს შეჰპირდა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სერბეთის პრემიერ ვიუჩიჩს შეხვდა.



პუტინმა მას განუცხადა, რომ რუსეთი მზადაა, სერბეთს სრულფასოვანი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინოს.

– მზად ვართ, თუკი სერბეთის მთავრობის სურვილი იქნება, ამ ქვეყანაში ჩვენი რაკეტებიც განვალაგოთ, – თქვა პუტინმა.

## ნადეჟდა სავჩენკო გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვდა

სამშობლოში დაბრუნებული ნადეჟდა სავჩენკო პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. ის გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე შიმანოვიჩს შეხვდა.



1992 წელს სწორედ შიმანოვიჩმა უზრუნველყო სერბებსა და ხორვატებს შორის ტყვეთა გაცვლის პროცესის დაწყება.

– ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა რუსეთ-უკრაინას შორისაც იგივე მოხდეს, – თქვა სავჩენკომ.

სავჩენკო პრეზიდენტ პოროშენკოსაც შეხვდა და გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს ევროპის ლიდერებს, რათა მათ უკრაინაში არსებული პრობლემები გააცნოს.

– თქვენ უკრაინის პრეზიდენტი ხართ, ამიტომ მზად ვარ, თქვენთან ერთად ვიმუშაო და ჩემი სამშობლოს ინტერესები დავიცვა, – განუცხადა პრეზიდენტს სავჩენკომ.

რუსულ ოპოზიციურ ტელეარხ „დოჟდის“ კორესპონდენტთან საუბარში სავჩენკომ განაცხადა, რომ პუტინის მადლობელი არ არის.

– რატომ უნდა გადავუხადო მადლობა რუსეთის პრეზიდენტს? ჯერ ერთი, ის ჩემი სამშობლოს მტერია, მეორეც, მან ყველაფერი გააკეთა, რომ კარგა ხნით ციხეში გამოვემწყვდიე და მხოლოდ საერთაშორისო ზეწოლის შედეგად გამათავისუფლა, – ამბობს სავჩენკო.

## რასმუსენი პოროშენკოს მრჩეველი გახდა




ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი პეტრო პოროშენკოს შტატგარეშე მრჩევლად დაინიშნა.

– ჩემი ამოცანაა, უკრაინას თავდაცვის სისტემის სრულყოფაში დავეხმარო, – განუცხადა ჟურნალისტებს რასმუსენმა.

ამერიკელმა ექსპერტმა რობერტ კლარკმა რასმუსენის დანიშვნა დადებითად შეაფასა.

– ეს სიგნალია რუსებისთვის, რომ დასავლეთი უკრაინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, – ამბობს კლარკი.

რასმუსენის დანიშვნას ნეგატიური რეაქცია მოჰყვა მოსკოვში.

– უკრაინის საგარეო ვექტორი ნათლად გამოიკვეთა. ესაა კურსი ევროპისა და ნატოსკენ. უკრაინაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც რუსეთისთვის მტრული სახელმწიფო, – აცხადებს რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ კალაშნიკოვი.

## რუსეთი ბელარუსისთვის გაზის გაიაფებას არ აპირებს

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ბელარუსისთვის გაზის შემდგომი გაიაფება არ მოხდება.



– ბელარუსი ჩვენი მოკავშირეა, ამიტომაც გაზს გაცილებით იაფად ვაწვდით, ვიდრე სხვებს. მაგრამ ის მაინც დამოუკიდებელი სახელმწიფოა. შესაბამისად, არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც გაიაფება უკვე შეუძლებელია, – აცხადებს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა. ეს როლი, ჩვეულებისამებრ, ვლადიმერ ჟირინოვსკის დაეკისრა.

– ბელარუსებს მივმართავ: გსურთ გაზი ისეთივე ფასად მიიღოთ, როგორც რუსეთის ფედერაციის მოსახლეობა იღებს? მაშინ რუსეთის შემადგენლობაში შემოდით, – თქვა ჟირინოვსკიმ.



## მოსკოვში საერთო-რუსული მოძრაობა დაფუძნდა

რუსეთის დედაქალაქში საერთო-რუსული მოძრაობის პირველი ყრილობა გაიმართა. ორგანიზაციის ლიდერად დონბასელი სეპარატისტების ექსლიდერი და ფსბ-ს ყოფილი ოფიცერი იგორ სტრელკოვი (გირკინი) აირჩიეს.

– ჩვენი მოძრაობა პუტინისადმი ოპოზიციურ მოძრაობას წარმოადგენს, რადგან პუტინი ღუპავს რუსეთს, – განაცხადა გირკინმა.

სეპარატისტების ყოფილი ლიდერი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი მოძრაობა მკვეთრად ანტიდასავლური, ანტიამერიკული ორიენტაციის იქნება.

– ნატო ჩვენს საზღვრებს მიუახლოვდა. ახლა აუცილებელია მთელი რუსი ერის მობილიზება, როგორც ეს დიდი სამამულო ომის დროს მოხდა. ყბედობის ეპოქა წავიდა, – აცხადებს გირკინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**განცხადებები**

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# საქართველოს ნაკრებმა სლოვაკეთთან წააგო




**სლოვაკეთი – საქართველო 3:1**

**ველსი. რენერ არენა**

1:0, 2:0 ნემეცი (5, 57), 3:0 ზრელაკი (70), 3:1 ყენია (71)

**სლოვაკეთი:** მუხა (ნოვოტა 63), გიომბერი, სალატა, შკრინიარი, ტესაკი, პეკოვსკი, გრეგუში, საბო (შესტაკი 66), ბერო (ჰროშოვსკი 79), ზრელაკი, ნემეცი (დურიში 70)

**საქართველო:** რევიშვილი, კაკაბაძე, კვერკველია, კაშია, ნავალოვსკი (დვალი 66), კვეკვესკირი, კობახიძე (ამისულაშვილი 46), ჭანტურიშვილი (ყენია 46), ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი (ჯიღაური 78), მჭედლიძე (ქვილითაია 46)

ვლადიმერ ვაისის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები ისევ დამარცხდა, ამჯერად საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში სლოვაკეთის ეროვნულ გუნდთან.

ავსტრიის ქალაქ ველსში გამართული მატჩი სლოვაკი სპეციალისტისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რანგში მეორე იყო.

იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც ვაისმა ავსტრიული შეკრებისთვის გამოიძახა, გუნდს კაპიტანი ჯაბა კანკავა და მარჯვენა მცველი უჩა ლობჟანიძე ვერ ეხმარებოდნენ. გიორგი ჭანტურია გუნდთან ერთად ვარჯიშს სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ შეუდგა, ხოლო გიორგი აბურჯანია ჯერ არ შეერთებია.

განახევრებული შემადგენლობით ითამაშა სლოვაკეთის ნაკრებმა – განაცხადში არ იყვნენ გუნდის ლიდერები მარტინ შკრტელი, მარეკ ჰამშიკი და ვლადიმირ ვაისი უმცროსი.

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე შესუსტებული შემადგენლობით იყო, ჩვენმა გუნდმა მას ვერაფერი დაუპირისპირა. განსაკუთრებით სუსტად ჩაატარა პირველი ტაიმი, მეორეში თითქოს გამოასწორა სიტუაცია, მაგრამ მარტივი შეცდომები დაუშვა და საბოლოოდ დამარცხდა.

ანგარიში სლოვაკებმა მატჩის დებიუტშივე გახსნეს. გოლი მე-5 წუთზე ადამ ნემეცმა გაიტანა, რომელმაც ჩვენს დაცვას ჩავარდნა არ აპატია.

გაშვებული გოლის შემდეგ ვაისის შეგირდები ვერ გამოფხიზლდნენ, თითქმის ყველა ორთაბრძოლას აგებდნენ და მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ. თავის მხრივ, არც სლოვაკებს მოუკლავთ თავი და მშვიდი, მარტივი თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

მეორე ტაიმის დასაწყისში ვაისმა ვახტანგ ჭანტურიშვილის ნაცვლად მოედანზე ლევან ყენია, სანდრო კობახიძის ნაცვლად ალექსანდრე ამისულაშვილი, ხოლო ლევან მჭედლიძის ნაცვლად გიორგი ქვილითაია შეუშვა.

თუ ეროვნული ნაკრების დებიუტანტმა ჭანტურიშვილმა მატჩი სუსტად ჩაატარა და საერთოდ შეუმჩნეველი იყო მოედანზე, ქვილითაიას სადებიუტო მატჩი უკეთ გამოიყურებოდა.

48-ე წუთზე ქართველმა ფეხბურთელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, შეტევა ზუსტი დარტყმით ნიკა კვეკვესკირმა დაასრულა, მაგრამ სლოვაკთა მეკარე მუხამ ბურთი ადვილად მოიგერია.

57-ე წუთზე ნემეცმა დუბლი შეასრულა – სლოვაკთა შეტევის მარცხენა ფლანგიდან ოთარ კაკაბაძემ შემტევს ჩაწოდების უფლება მისცა, საჯარიმოში ნემეცმა ამისულაშვილს აჯობა და თავით ლამაზი გოლი გაიტანა.

63-ე წუთზე ქართველებს ერთი გოლის გაქვითვის შანსი ჰქონდათ, მაგრამ ჯერ ოქრიაშვილის დარტყმა მოიგერია შეცვლაზე შესულმა ნოვოტამ, შემდეგ კი ქვილითაიამ დაარტყა არაზუსტად.

70-ე წუთზე იან კოზაკის ფეხბურთელებმა მე-3 გოლი გაიტანეს. ზრელაკმა საჯარიმო დარტყმით გაზარდა საკუთარი გუნდის უპირატესობა. სლოვაკი ნახევარმცველის სტანდარტულიდან ჩაწოდებული პირდაპირ კარში გავიდა – გზად ამისულაშვილმა ბურთს ფეხი ააცილა.

ერთ წუთში ლევან ყენიამ ერთი ბურთი გაქვითა – შემტევმა ნახევარმცველმა გოლი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა. კარგი სანახავი კი იყო, მაგრამ მხოლოდ წაგებულ მატჩში.

ვაისმა მე-2 ტაიმში კიდევ ერთ დებიუტანტს მისცა თამაშის შანსი – ჯაბა ჯიღაურს, რომელმაც, ჭანტურიშვილის მსგავსად, თავი ვერ წარმოაჩინა.

მატჩის მიწურულს ქართველებს 2 მომენტი ჰქონდათ, ჯერ ქვილითაიას დარტყმა ასცდა კარს, შემდეგ კი კაშიას დარტყმა მოიგერია მეკარემ.

მატჩის ბოლო წუთზე გატანა შეეძლო სლოვაკეთსაც, მაგრამ შესტაკმა რევიშვილის კარს ბურთი მცირე მანძილით ააცილა.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მომდევნო მატჩს რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ ბუქარესტში 3 ივნისს გამართავს.

**ვლადიმერ ვაისი:**

– ცუდად ვითამაშეთ. სლოვაკებთან ფიზიკური ორთაბრძოლები წავაგეთ. ისინი ჩვენზე უკეთ არიან მომზადებულნი და ფორმაში არიან, ჩვენგან განსხვავებით. პირველ ტაიმში მეტოქე გაცილებით უკეთ თამაშობდა. შესვენებაზე შევეცადე, გუნდის თამაშში მეტი აგრესია შემეტანა, მაგრამ იოლი გოლები გავუშვით, მნიშვნელოვანი იყო ადამ ნემეცის მეორე გოლი. მესამე გოლი, უბრალოდ, აღმაშფოთებელია ჩვენი მხრიდან, ასე თამაში არ შეიძლება, კედელი ვერ დავაყენეთ და დარტყმულზე რეაქციაც არ ყოფილა. დიახ, საქართველოს ნაკრები ცდილობდა, თუმცა დიდ ფეხბურთში ეს არ არის საკმარისი. მაგრამ უფრო მეტს ვიშრომებთ.

## შედეგები

**28 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

არგენტინა-ჰონდურასი ... 1:0
ურუგვაი-ტრინიდადი ... 3:1
ჩილი-იამაიკა ... 1:2
კოსტა რიკა-ვენესუელა ... 2:1
მიანმა-მალაიზია ... 0:0
რუანდა-სენეგალი ... 0:2
შვეიცარია-ბელგია ... 1:2
გაბონი-მავრიტანია ... 0:2
მექსიკა-პარაგვაი ... 2:0
პერუ-სალვადორი ... 3:1
აშშ-ბოლივია ... 4:0
სომხეთი-გვატემალა ... 7:1

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

**ფინალი**

რეალი-ატლეტიკო ... 1:1 (5:3პ)

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**პლეი ოფი**

ჰალი-უენსდი ... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-იორებრო ... 0:0
იონჩოპინგი-სუნდსვალდი ... 1:1
ესტერსუნდი-მალმიო ... 1:4

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ტრომსო-სარპსბორგი ... 1:2
რუსენბორგი-მიოლდე ... 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-პკ-35 ... 2:1
როვანიემი-სეინეიოკი ... 2:3
ინტერი-კემი ... 0:2

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

ზვერევი-ტიემი ... 7:6,3:6,3:6,3:6
ფერერი-ლოპესი ... 6:4,7:6,6:1
გოფინი-ალმაგრო .. 6:2,4:6,6:3,4:6,6:2
კუევასი-ბერდიხი ... 6:4,3:6,2:6,5:7
ჩორიჩი-ბაუტისტა აგუტი .. 2:6,3:6,3:6
ჯოკოვიჩი-ბედენე ... 6:2,6:3,6:3

**ქალები**

სუარეს ნავარო-ციბულკოვა ... 6:4,3:6,6:1
პარმენტიე-ბაჩინკი ... 4:6,2:6
სვიტოლინა-ივანოვიჩი ... 6:4,6:4
პუტინცევა-კნაპი ... 6:1,6:1
ს.უილიამსი-მლადენოვიჩი ... 6:4,7:6
ვ.უილიამსი-კორნე ... 7:6,1:6,6:0
ბერტენსი-კასატკინა ... 6:2,3:6,10:8
პუინგი-კიზი ... 6:7,3:6

# თორნიკე შენგელია პლეი ოფს აგრძელებს, მარკოიშვილი გამოეთიშა




## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

თორნიკე შენგელია მოედანს დაუბრუნდა. სამთვენახევრიანი პაუზის შემდეგ ლაბორალ კუჩას ქართველი ფორვარდი ისევ თამაშშია, რაც კარგად წარმართული სარეაბილიტაციო პერიოდის ნაყოფია. შენგელიამ თებერვალში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და მოედანზე დაბრუნება ამავე სეზონში მოასწრო.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რომ შენგელიას დიდხანს ათამაშებდნენ, ამის ილუზია არავის ჰქონია. გრან კანარიასთან მეოთხედფინალური, საპლეიოფო სერიის პირველ მატჩში თორნიკე განაცხადში იყო და მოედანზე მცირე ხნით გამოჩნდა.

შენგელიამ სამწუთ-ნახევარი ითამაშა, რის განმავლობაშიც 2 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. ლაბორალ კუჩამ შეხვედრა 81:76 მოიგო და სერიაში 1:0 დაწინაურდა. მომდევნო მატჩი 29 მაისს კანარის კუნძულებზე გაიმართება.

მანუჩარ მარკოიშვილისთვის სეზონი დასრულდა. სტამბოლის დარუშაფაკამ თანაქალაქელ ეფესთან ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩიც წააგო და პლეი ოფიდან გავარდა. ეფესელებმა მასპინძლები ბოლო პერიოდში გატეხეს და 88:83 გაიმარჯვეს.

დარუშაფაკა დიდი შესვენებისთვის 10 ქულით იგებდა, მაგრამ ლიდერობა ვერ შეინარჩუნა. მესამე პერიოდი მასპინძლებმა 17:21 დათმეს, გადამწყვეტ ათწუთეულში კი ეფესმა 29:18 იმარჯვა და მატჩთან ერთად სერიაც მოიგო – 3:0.

მარკოიშვილმა 10:23 წუთი ითამაშა და 3 ქულა, 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 2 სამქულიანიდან 1 ჩააგდო.

# რეალმა ჩემპიონთა ლიგა მეთერთმეტედ მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გი მომენტი გაანიავა. ტაიმის შუაში რეალს მეტოქის საბოლოოდ დასამარება შეეძლო, მაგრამ ერთწუთიან მონაკვეთში 3 რეალური შანსი გაუშვა ხელიდან.

სწორედ აქ დაისაჯა რეალი და ატლეტიკომ შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა.

ვერ გეტყვით, როდის რა სურს სიმეონეს, მაგრამ, როდესაც მისი გუნდი არ აგებს, უპირატესობას მეტოქეს უთმობს. არადა, ატლეტიკო შესანიშნავად გამოიყურება, როდესაც თავად უტევს, გატანილი გოლის შემდეგ კი მოედანი რეალს დაუთმო და ასე იყო დამატებითი დროის ბოლო წუთებამდე, სანამ საქმე პენალტებამდე არ მივიდა.

პენალტების სერიაში ნერვებმა ხუანფრანს უმტყუნა, რომელმაც ბურთი ძელს გაარტყა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – გარეთ ბეილი

მართალია, რამოსი უეფამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, მაგრამ ჩვენ ბეილი გამოვარჩიეთ. უელსელმა რონალდუს პასიურობის ფონზე ლიდერის ტვირთი იკისრა – ხშირად ურტყამდა კარში, მიდიოდა გამწვავებაზე, არიგებდა პასებს. რეალის გოლიც მისი პასით გავიდა, ხოლო სტანდარტი მის წინააღმდეგ წესების დარღვევას მოჰყვა.

16 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი კრიშტიანუ რონალდუ გახდა.

რონალდუმ სამჯერ შეძლო ჩემპიონთა ლიგის მოგება და მეხუთეჯერ გახდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი.

ზინედინ ზიდანი გახდა მე-7 ადამიანი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო, როგორც მწვრთნელმა და როგორც ფეხბურთელმა.

ასევე ზიდანი გახდა პირველი ფრანგი მწვრთნელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ატლეტიკო გახდა ერთადერთი კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის სამ ფინალში მიიღო მონაწილეობა და ერთხელაც ვერ გაიმარჯვა (1974 ბაიერნთან, 2014 და 2016 რეალთან).

რეალი გახდა პირველი კლუბი, რომელმაც ფინალში გასვლის შემდეგ ზედიზედ 5-ჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა (1998, 2000, 2002, 2014, 2016).

სერხიო რამოსი გახდა მეხუთე ფეხბურთელი და მესამე მცველი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ორ ფინალში შეძლო გატანა.

**ზინედინ ზიდანი:**

– ფიზიკურად ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ეს ნორმალურია. გარდა ამისა, უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვთამაშობდით, რასაც მთელი მატჩის განმავლობაში ვებრძოდით. მოთამაშეებისთვის, მწვრთნელისთვის ჩემპიონთა ლიგის დონის ტურნირის მოგება ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს ჩემი ოცნება იყო, რომელიც ამიხდა.

როცა კლუბის პრეზიდენტი ასეთ შანსს გაძლევს, ასეთი შემადგენლობით... როცა შენს განკარგულებაში უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან, ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. თავს ამ დიდი კლუბის, ოჯახის ნაწილად ვთვლი და ბედნიერი ვარ. დიეგო სიმეონე შესანიშნავი მწვრთნელია და მას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს.

**დიეგო სიმეონე:**

– ასეთი შედეგი რამდენიმე წლით გაბერებს. ვულოცავ რეალს, რომელმაც კიდევ ერთხელ მოგვიგო, ამჯერად პენალტების სერიაში. თამაში ცუდად დავიწყეთ, თუმცა პირველი ტაიმის შუაში დავლაგდით. წლების შემდეგ წაგებული გუნდი აღარავის ემახსოვრება, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ორ წაგებულ ფინალს ყველა დაიმახსოვრებს. გუნდი, რომელიც იგებს, ყოველთვის უკეთესია. ჩვენ კი მუშაობა უნდა გავაგრძელოთ.

# დოპინგის მომხმარებელთა სია იზრდება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა დოპინგ-სინჯების განმეორებითმა ანალიზმა, ისევ, როგორც პეკინის ოლიმპიადის შემთხვევაში, აკრძალული ნივთიერებების კვალი გამოავლინა. ამჯერად დისკვალიფიკაცია ემუქრება სპორტის 5 სახეობის 23 სპორტსმენს 6 ქვეყნიდან. მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) მეშვეობით სოკ-მა სულ 265 სინჯი გადაამოწმა, რომლებიც შეირჩა 2015-16 წლებში მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე.




გეტყვით, რომ რამდენიმე დღით ადრე ოლიმპიელთა რიგებიდან გარიცხვა ემუქრება 12 ქვეყნის 31 სპორტსმენს, რომელთა 2008 წლის სინჯების განმეორებითი ტესტირებისას ასევე აღმოაჩინეს აკრძალული პრეპარატების კვალი.

**თომას ბახი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:**

– ჩვენი მოქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს სოკ-ის მტკიცე ნებას დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ჩვენ არ გვინდა, რომ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე აღმოჩნდნენ უღირსი ათლეტები. ამიტომაც ჩვენ ვმოქმედებთ სწრაფად და ახლავე. მე უკვე დავნიშნე სადისციპლინო კომისია, რომელსაც სრული უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილებები სოკ-ის სახელით.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## სასტუმრო „უოტერგეიტის“ რესტავრაცია 125 მილიონი დაჯდა

ვაშინგტონის სახელგანთქმული სასტუმრო „უოტერგეიტი“ 1 ივნისს გაიხსნება შეკეთების შემდეგ, რომელიც 125 მილიონი დოლარი დაჯდა. სასტუმრო იმავე კომპლექსში მდებარეობს, რომელიც 1970-იან წლებში ხმაურიანი პოლი-



ტიკური სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა, რომლის გამოც აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი თანამდებობიდან გადადგა.

სასტუმრო „უოტერგეიტი“ სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად 2007 წელს დაიხურა, თუმცა მაშინ სამუშაოები არც დაწყებულა, ვინაიდან მისი ადრინდელი მფლობელი გარკვეულ სირთულეებს წააწყდა და აშშ-ში ფინანსური კრიზისის დროს თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

სასტუმრო ნიუიორკულმა კომპანია „ეურო კეპიტალ პროპერტესმა“ შეიძინა და მისი მასშტაბური განახლების სამუშაოები 2014 წელს დაიწყო. როგორც კომპანიაში განაცხადეს, მათ მიზანს წარმოადგენდა, „უოტერგეიტის“ გათანამედროვება და სკანდალური წარსულისგან გათავისუფლება.

სასტუმრო „უოტერგეიტში“ 336 ნომერია, ხოლო იქ ერთი დღე-ღამის გატარება დაახლოებით 289 დოლარი ღირს.

## ელისაბედ II-ის კაბებს ლონდონში გამოფენენ

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის საქორწინო და ტახტზე ასვლის დროს გამოყენებულ კაბებს ლონდონის ბუკინგემის სასახლეში გამოფენენ. ორივე კაბის ავტორი ცნობილი კუტურიე სერ ნორმან ჰარტნელია.



კაბები გამოფენის „მოდელირებული მმართველობა: 90 წელი სამეფო გარდეროზის სტილი“ ექსპონატები გახდა. ექსპოზიციის დათვალიერება 23 ივლისიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

ეს სამიდან ერთ-ერთი გამოფენაა, რომელიც ელისაბედ II-ის სტილს ეძღვნება და მიმდინარე წელს იმართება. სამივე მათგანი მისი უდიდებულესობის რეზიდენციებში ტარდება.

21 აპრილს გაიხსნა ექსპოზიცია ედინბურგის ჰოლირუდის სასახლეში. 17 სექტემბერს ამუშავდება გამოფენა უინძორის ციხე-სიმაგრეში. საერთო ჯამში, საზოგადოება დედოფლის 150 კაბასა და სხვა სამოსს იხილავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 30 მაისისთვის



**ვერძი** – თუ სიტუაციას დროულად გააანალიზებთ და მოვლენებს ალღოს აუღებთ, რთული სიტუაციიდან გამოსავალს მალე იპოვით. დროა, მოქმედების ტაქტიკა შეცვალოთ. **კურო** – ახლობელმა შესაძლოა მცდარი რჩევა მოგცეთ. იმედი გიცრუვდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მოიწესრიგეთ ძილი. **ტყუპები** – პროფესიონალურ სფეროში წარმატება გელით. შესაძლოა ხელსაყრელი საქმიანი წინადადება შემოგთავაზონ. ბიზნესში გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **კირჩხიბი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ბევრ შეცდომას უშვებთ. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ სუსტი ნერვული სისტემის მქონენი. **ლომი** – ფინანსური კუთხით პრობლემებს ელოდეთ. სერიოზული დაბრკოლება გელით ასევე ჩინოვნიკების მხრიდან. **ქალწული** – შემოსავალ-გასავალი ყურადღებით აკონტროლეთ. სხვისი შეცდომების გამო შესაძლოა დაბრკოლებებს წააწყდეთ. **სასწორი** – აქტიური მოქმედებები დღეს დაუშვებელია. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დიდი მოთმინება გმართებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო ენერგია ძლიერდება. ეს დღე ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ზომიერების გრძნობა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – იღბლიანი დღეა ფულის დასაგროვებლად, ადრე დაწყებული საქმეების დასამთავრებლად, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. **თხის რქა** – ნებისმიერ სიტუაციაში მაქსიმალური თავშეკავება გმართებთ. თქვენი უკიდეგანო პატივმოყვარეობა პრობლემებს შეგიქმნით. **მერწყული** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. ახლობელი ადამიანი იმედს გაგიცრუებთ. თავი გააკონტროლეთ და ემოციები მოთოკეთ. **თევზები** – ჰარმონიული დღეა, რომელიც მოგიტანთ სულიერ სიმშვიდესა და წონასწორობას. ოჯახის წევრების მიმართ მეტი გულისხმიერება გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



## ჩინელმა სტუდენტებმა საბურავებისგან დინოზავრი დაამზადეს

ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე პროვინცია ჰენანის კოლეჯის სტუდენტებმა დინოზავრი ველოსიპედის საბურავებისგან დაამზადეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტო „სინხუა“ ტვიტერში ავრცელებს.

ამ უჩვეულო ქანდაკების დასამზადებლად, რომლის სიმაღლე – 2,3, ხოლო სიგრძე 4 მეტრს შეადგენს, სტუდენტებს 600 ძველი საბურავის გამოყენება დასჭირდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მკურნალი მცენარე



**კავკასიური ფიჭვი** – ფიჭვისებრთა ოჯახს განეკუთვნება, კავკასიური სოჭი სიმაღლეში დაახლოებით 60-70 მეტრამდე აღწევს, დიამეტრი კი 2 მეტრამდე. ევროპული სოჭისგან განსხვავებით, ყლორტის კენწეროზე ოთხი კვირტი ზის. ღია ადგილას სოჭი 30-40 წლის, ხოლო კორომში 60-70 წლის ასკსი იწყებს მსხმოიარობას.



სოჭი კარგად იზრდება ნესტიან, ნოყიერ, კარგად დრენირებულ ნიადაგებზე. ქმნის როგორც წმინდა, ასევე შერეულ კორომებს წიფელსა და ნაძვთან ერთად. გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ საქართველოში, მიმზიდველი გარეგნობის გამო რგავენ ბაღებსა და პარკებში.

სოჭის მერქანი საუცხოო სამშენებლო მასალას იძლევა, განსაკუთრებით ძვირფასია მაღალხარისხოვანი ქაღალდის წარმოებისათვის, სოჭის ტყეებს უდიდესი დაცვითი და კლიმატმარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთაგორიან პირობებში.

მედიცინაში სოჭის წიწვები, ქერქი და ახალგაზრდა ტოტები გამოიყენება, მათგან მიღებული ეთერზეთი ეთერზეთი ერთ ერთი ძირითადი წყაროა სინთეზური ქაფურის მისაღებად. ქაფური სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება, როგორც ცენტრალური ნერვიული სისტემის აღმგზნები, ინფექციური და სხვა დაავადებების დროს გულის მოქმედების გამაძლიერებელი საშუალება. ქაფურს გარეგან საშუალებადაც იყენებენ მიოზიტის, ნერვიტის და სახსრების რევმატიზირების დროს. დიდი დოზით შიზოფრენიის მკურნალობაში იყენებენ. სოჭისაგან მიღებულ სკიპიდარს გარეგან სახმარად იყენებენ გამაღიზიანებელ საშუალებად.

კვირტებისა და ჩვილი წიწვების ნახარში ვიტამინიზირებული სასმელია და შესაძლოა გამოყენებული იქნეს სურავანდის პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.სოჭის ფისისაგან მიღებული „სოჭის ბალზამი“ მედიცინაში ჭრილობების შეხორცების მასტიმულირებელ საშუალებადაა მიჩნეული.

* * *



**ნიახური** – ძირითადად ნიახურის ფოთოლი გამოიყენება, ის განსაკუთრებული მძაფრი სუნით გამოირჩევა, იშვიათად გამოიყენება მისი ძირები, რომელიც შეიძლება როგორც უმი, აგრეთვე დამუშავებული შეიძლება მივირთვათ.

ნიახურში კარგადაა შემონახული სინოყიერე და დაბალკალორიულობა (რის გამოც დიეტის მოყვარულები აღმერთებენ). ხელს უწყობს ნერვულ და გულ სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ მუშაობას.

მდიდარია კალიუმით ე.ი. დაბლა სწევს სისხლის წნევას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს. ააქტიურებს თირკმელების მუშაობას.

ცუდ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ნიადაგიდან ნიტრატებისა და პესტიციდების მაქსიმუმს ითვისებს, ამიტომ მოკრეფილი დიდხანს გააჩერეთ წყლით სავსე ჯამში. ნიახური მშვენიერი საუზმეა, მსხვილი ღეროები მოხარშეთ ან უმი დაჭერით და ჩააწყვეთ საწებელში. მოხარშულ ნიახურს გარნირადაც ხმარობენ.

## სლოვაკი მოდელი მილიონერი ბოიფრენდის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს

სლოვაკი მოდელი მაიკა კუკუჩოვა დამნაშავედ იქნა ცნობილი თავისი ყოფილი ბოიფრენდის, მილიონერ ენდრიუ ბუშის მკვლელობაში.




26 წლის მანეკენის საქმეს ესპანეთის ქალაქ მალაგის სასამართლო განიხილავდა. ბრალდების მხარემ მისთვის 25-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სასამართლო სხდომაზე გოგონა ატირდა და განაცხადა, რომ არასოდეს სდომებია თავისი შეყვარებულისთვის ტკივილის მიყენება.

48 წლის ბუში 2014 წელს ესპანეთის რაგიონ კოსტა-დელ-სოლში საკუთარ სახლში მოკლეს. საიუველირო სალონების ყოფილ მფლობელს სამი ტყვია ესროლეს. კუკუჩოვა ამტკიცებდა, რომ თავის მეგობარ მამაკაცს გააფთრებული ჩხუბის დროს ესროლა, მაგრამ თავად მკვლელობის ფაქტს უარყოფდა.

აღსანიშნავია, რომ მკვლელობამდე გარკვეული დროით ადრე ბუში სლოვაკ მოდელს დაშორდა, ვინაიდან მან რომანი გააბა რუს სტუდენტ მარია კოროტაევასთან. ის სწორედ მასთან ერთად მივიდა საკუთარ ვილაში, რომელიც ესპანეთის სანაპიროზე მდებარეობს და სადაც მისი ყოფილი მეგობარი გოგონა დახვდა. მათ შორის მოხდა კონფლიქტი. ჩხუბის დროს კუკუჩოვამ მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ მას სამშობლოში, სლოვაკეთში მიაგნო და დააკავა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი




1. ჯუჯა კამეჩი; 2. სიმებიანი საკრავი; 3. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორისადმი; 4. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 5. „... ერგასის დღე“; 6. ქართული ტაძარი ამჟამინდელ თურქეთში; 7. ჭია; 8. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით; 9. ... მონტანი; 10. ქალთა ცეკვა; 11. საწინდარი; 12. ბაბუა; 13. რეკლამირება მასმედიით; 14. ზეგანი; 15. ქართული ზღაპარი; 16. ღამის ფრინველი; 17. ... სუმაკი; 18. ინგლისური მაგარი ლუდი; 19. ქუჩის სანათი; 20. ... სტრიპი; 21. მუდმივი ტემპერატურის შესანარჩუნებელი ჭურჭელი; 22. კურკოვანი ხილი; 23. გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე; 24. მდინარე აზიაში; 25. ... რიშარი; 26. სახელმწიფო აფრიკაში; 27. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 28. „... პირველი“; 29. ალგორითმული ენა; 30. ბერძნული ანბანის ასო; 31. გარდატეხა, კრიტიკული სიტუაცია.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩუღურეთი; 2. ხორბალი; 3. არაყი; 4. ნებიერი; 5. პორტალი; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. პლებეი; 17. რეტორტა; 20. ოკაპი.

**თარაზულად:** 6. ბურგომისტრი; 7. ბენთოსი; 8. ფრიკასე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. „პერიე“; 21. რკალი; 22. მიკადო; 23. ტანგანიკა; 24. ტრიგლიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სერფინგი; 2. ესენცია; 3. ქლესა; 4. მანტისა; 5. რეალობა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. „არლანდა“; 15. მანდოლინა; 16. გრინგო; 17. გვარდია; 20. ბანკო.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. ზაგრები; 8. დიაფანი; 9. ანემია; 13. ტაბუ; 14. რუტერი; 18. პარანომია; 19. რვალი; 21. დათვი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სტადიონი.

## ემბერ ჰერდმა ჯონი დეპს ოჯახური ძალადობა დასდო ბრალად

ამერიკელი მსახიობის ჯონი დეპის მეუღლემ, მსახიობმა ემბერ ჰერდმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელშიც ნათქვამია, რომ ქმარი მას გამუდმებით სცემდა და ასეთი შემთხვევა ბოლოს 21 მაისს მოხდა.



ჰერდმა და მისმა ადვოკატმა სამანტა სპექტორმა ოჯახური ძალადობის დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინეს და მოითხოვეს დროებითი დაცვის ორდერი, საბუთი, რომელიც დეპს მეუღლესთან მიახლოებას აუკრძალავს.

წარმოდგენილ საბუთებს შორისაა ჰერდის ფოტოსურათი, რომელზეც მის სხეულზე ცემის კვალია დაფიქსირებული, ასევე – ერთ-ერთი ცემის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. ჰერდის თქმით, დეპმა მას ფული შესთავაზა დუმილის სანაცვლოდ, მაგრამ მან ასეთ გარიგებაზე უარი თქვა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღით ადრე ჰერდმა სასამართლოში ჯონი დეპთან განქორწინების მოთხოვნით განცხადება შეიტანა და ამის მიზეზად მეუღლეებს შორის გადაულახავი უთანხმოებები იქნა დასახელებული.

## ოთხი წლის ბავშვის გადასარჩენად გორილა მოკლეს

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატის ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, მოეკლათ გორილა მას შემდეგ, რაც მის ვოლიერში ოთხი წლის ბიჭუნა აღმოჩნდა. ინციდენტი შაბათს



მოხდა. სავარაუდოდ, ბავშვი ღობეში გაძვრა და შემდეგ ვოლიერში დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლიდან ჩავარდა, სადაც 17 წლის მამრი გორილა, სახელად ჰარამბე, ბინადრობდა. ცხოველმა ბავშვს ხელი სტაცა და დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ვოლიერში დაათრევდა.

სპეცჯგუფმა მაიმუნის მოკვლის გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. იმის ლოდინის დრო, თუ როდის იმოქმედებდა ტრანკვილიზატორი აღგზნებულ გორილაზე, არ იყო.

ზოოპარკის დირექტორ ტეინა მეინარდის თქმით, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ცხოველის მოკვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ხოლო თავად შემთხვევას „სამწუხარო" უწოდა.

დაზარალებული ბავშვი ცინცინატის ბავშვთა სამედიცინო ცენტრში იქნა გადაყვანილი.

## ბრაზილიაში კუს ბაკანი 3დ პრინტერზე დაბეჭდეს

ბრაზილიაში სპეციალისტების ჯგუფმა ხანძრის შედეგად დამწვარ და ცოცხლად გადარჩენილ კუს ახალი ბაკანი 3დ პრინტერის დახმარებით დაუმზადა.



დოქტორმა როდრიგო რაბელომ მდედრი კუ საშინელ მდგომარეობაში მყოფი აღმოაჩინა. მან გადაწყვიტა, ცხოველისთვის სახელად ფრედი დაერქმია, ფილმის გმირ ფრედი კრიუგერის პატივსაცემად და ემკურნალა. კუს არა მარტო დამწვრობა ჰქონდა გადატანილი, არამედ ფილტვების ანთებაც, ასევე დიდი ხნის განმავლობაში საკვების გარეშე იმყოფებოდა.

რაბელო სანპაულუელი მოხალისეების ჯგუფის წევრია, რომლებიც გარესამყაროზე ზრუნავენ, ხოლო თავად ჯგუფი სამი ვეტერინარის, დიზაინერისა და ქირურგი-სტომატოლოგისგან შედგება.

ბაკნის დამზადებამდე ფრედსა და კიდევ ერთ კუს სხვადასხვა მხრიდან ათეულობით ფოტოსურათი გადაუღეს. 3დ მოდელის შექმნის შემდეგ ოთხი დეტალი იქნა დაბეჭდილი. მიღებული თეთრი ფერის ბაკანი ბუნებრივ ფერებში ადგილობრივმა მხატვარმა შეღება.

ექიმ რაბელოს თქმით, ეს პირველი მსგავსი ოპერაცია და, ამავე დროსა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ვეტერინარიაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რობი უილიამსი: „მოუთმენლად ველოდები თქვენთან დაბრუნებას!"



მსოფლიო ვარსკვლავმა რობი უილიამსმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით თბილისში კონცერტი გამართა, სადაც ცნობილი ჰიტები შეასრულა. მუსიკოსი მსმენელს ქართულად მიესალმა და მათ წინაშე გრანდიოზული შოუთი წარდგა.

ბრიტანელმა მომღერალმა ერთი სიმღერა მამასთან ერთადაც იმღერა. მან მსმენელს სთხოვა, თუკი კონცერტით კმაყოფილი იყვნენ, მასთან ერთად ემღერათ. ვარსკვლავმა ყველასათვის ცნობილი ჰიტი „ნიუ იორკ, ნიუ იორკ" იმღერა, სადაც ნიუ იორკი ჯორჯიათი შეცვალა.

რობი უილიამსის კონცერტი მომღერლის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა. ყველაზე მეტად კი ქართველი საზოგადოების აღშფოთება მომღერლის მიერ უკანალის ჩვენებამ გამოიწვია. ერთ-ერთი სიმღერის შესრულების დროს ის სცენაზე შეტრიალდა და საზოგადოებას საჯდომი დაანახა. როგორც გაირკვა, ეს მისი სავიზიტო ბარათია, რობის თაყვანისმცემლები მიჩვეული არიან, რომ მომღერალი ასე თითქმის ყველგან იქცევა.

კონცერტის შემდეგ ბრიტანელმა მუსიკოსმა ქართული მედიისთვის კომენტარი გააკეთა და გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა:

– ქართველი მსმენელი იყო სენსაციური და ძალიან გულუხვი. იმის გათვალისწინებით, რომ მე აქ არასოდეს ვყოფილვარ, ჩემთვის ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ყველას ეცოდინებოდა ჩემი სიმღერების ტექსტები. კონცერტის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ჩავარდნა, მუდმივად იგრძნობოდა აუდიტორიის ენერგეტიკა.

ეს იყო ჩემი პირველი კონცერტი ბოლო 7 თვის განმავლობაში და საკმაოდ ვნერვიულობდი, მაგრამ, როგორც კი სცენაზე დავდექი, ქართველი მსმენელი ძალიან დამეხმარა. ეს იყო გამოცდილება, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩემს მეხსიერებაში. ძალიან ბედნიერი ვარ, მოუთმენლად ველოდები თქვენთან დაბრუნებასა და კიდევ ერთხელ თქვენთან შეხვედრას.

მასშტაბური კონცერტის დასრულების შემდეგ რობი უილიამსმა თბილისი 28 მაისს, გამთენიისას დატოვა.

## გიორგი აბაშიძე და სალომე ბაჯელიძე ტყუპების მშობლები გახდნენ

ასლან აბაშიძის შვილი გიორგი აბაშიძე და მისი მეუღლე სალომე ბაჯელიძე ტყუპების მშობლები გახდნენ.



მათ შვილები ერთმანეთზე მეორედ დაქორწინების შემდეგ ეყოლათ. როდესაც ისინი პირველად შეუღლდნენ, გიორგი აბაშიძე 27 წლის იყო, სალომე ბაჯელიძე კი – 17-ის. წყვილი პირველად 2003 წელს დაქორწინდა, მაგრამ მაშინ სალომეს მამის გარდაცვალების გამო მათ არც ჯვარი დაუწერიათ და არც ქორწილი გადაუხდიათ.

სალომე და გიორგი ერთმანეთს რამდენიმე თვეში დაშორდნენ:

– კონკრეტული მიზეზი არ გვქონია. დავსხედით, დავილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ დაშორება. ამის შემდეგ შერიგების მცდელობა არ გვქონია, – ამბობდა სალომე.

11-წლიანი განშორების შემდეგ გიორგი და სალომე ისევ შერიგდნენ და შარშან ხელიც მოაწერეს. მათ ტყუპები ეყოლათ, რომლებიც ახალბედა მშობლებმა საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს საპატრიარქოში მიუყვანეს.

შეხვედრის დამადასტურებელი ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა.

## მაქსიმ ავერინი რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო სპექტაკლებს გამართავს




ცნობილი მსახიობი მაქსიმ ავერინი ქართველი მაყურებლის წინაშე 2 და 3 ივნისს წარდგება და რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო სპექტაკლებს გამართავს.

თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი ქართველი მაყურებლის წინაშე სპექტაკლით „ყველაფერი სიყვარულით იწყება" წარდგება. ავერინი საქართველოში საქველმოქმედო აქციის „შენ, მე, ჩვენ – ერთად სიცოცხლისთვის" ფარგლებში ჩამოვა. საღამოდან შემოსული თანხა შეჭირვებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

– მოუთმენლად ველი ქართველ მაყურებელთან შეხვედრას. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ჩამოვიდე თქვენს ულამაზეს ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ეს საღამო იქნება ისეთივე თბილი, როგორიც თქვენი ქვეყანაა, – განაცხადა სპეციალურ ვიდეომიმართვაში მსახიობმა.

მაქსიმ ავერინი თბილისს 30 მაისს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში, მსახიობი 31 მაისს სოფიკო ჭიაურელის, რამაზ ჩხიკვაძის, რეზო ჩხეიძისა და სხვა კოლეგების საფლავებს მოინახულებს და პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. მსახიობი რამდენიმე ბავშვთა ცენტრსაც ეწვევა. მისი ვიზიტი დაგეგმილია ბათუმშიც.

## დემნა გვასალიამ კოლექცია აბაზანის ხალიჩებისგან შექმნა



ბალენსიაგას ქართველმა კრეატიულმა დირექტორმა დემნა გვასალიამ მოდის მოყვარულ საზოგადოებას თავისი ახალი კოლექცია წარუდგინა და, არც მეტი, არც ნაკლები, მოდელებს ტანზე აბაზანის ხალიჩები შემოახვია.

ჩვენებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია და მოდის კრიტიკოსებს შორის კამათის საფუძველიც გახდა:

– მას სიახლეები არ აშინებს, ამიტომ სულაც არ უფიქრია იმაზე, თუ როგორ მიიღებდა საზოგადოება მოდელებისთვის ტანზე შემოხვეულ აბაზანის ხალიჩას, – წერენ მოდის კრიტიკოსები.

ბალენსიაგას შემოდგომა-ზამთრის კოლექციამ გულგრილი არავინ დატოვა. დემნამ მოდელებს მჟავის ფერების „საცურაო" ქუდები, შარფი-ხალიჩები და ბოტფორტები ჩააცვა, რომლებზეც სახლის ფეხსაცმელი ამოაცვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## TV პროგრამა

ოიშაბათი
30 მაისი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ექსპრესი**"

**08.00** დ/ფ "ზეთი სიამაყე" **09.00** დ/ფ "ალის პირისპირ" **10.40** დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" **11.10** ქართ. მხ/ფ "**ნინო**" **12.30** დ/ფ "თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" **13.00** დ/ფ "ლანსის ლუვრიდროის გალერეა" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "ბერლინი 1885 წელი იერიში აფრიკაზე" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 03.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** სერ. "**ვენდეტა**" **3** სერ. **01.45** მხ/ფ "**მრბოლელი**" **04.00** მხ/ფ "**ტალღებთან მოთამაშე**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ეი, მაესტრო**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" **1** სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "წმინდა ანთიმოზ ივერიელი" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1461 |
| ევრო | 2.3985 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1438 |
| 100 რუსული რუბლი | 3.2531 |

## ამინდის პროგნოზი 30 მაისისთვის





# ყურადღება!

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წიგნის შეძენა!

27 მაისიდან

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

ბიძია თომას ქოხი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი





30 მაისიდან

ფენიმორ კუპერი

უკანასკნელი მოჰიკანი

ფანტასტიკა, თავგადასავალი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## შვიდი წლის ბავშვმა სათამაშოთი შეიარაღებულ მძარცველს სცემა

ამერიკაში, მერილენდში, შეიარაღებული მძარცველი ვიდეოთამაშების მაღაზიაში შეიჭრა. ამ დროს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა არც გამყიდველებს და არც მყიდველებს არ უცდიათ და მხოლოდ შვიდი წლის ბავშვს ეყო იმის სიმამაცე, რომ თავს დასხმოდა დამნაშავეს.



ბავშვმა მძარცველს რამდენჯერმე მუცელში მთელი ძალით ჩასცხო სათამაშო და ის იძულებული გახდა, თავდაცვაზე გადასულიყო. სხვათა შორის, მას ბავშვისთვის ზიანი არ მიუყენებია. ასევე იქ მყოფთაგან არავინ დაშავებულა. მძარცველმა ისინი სახით კედლისკენ დააყენა, რის შემდეგაც სალაროდან ფული წაიღო და დანაშაულის ადგილიდან ავტომობილით მიიმალა.

## ხორვატიაში კიმ კარდაშიანის ორეულს მიაგნეს



ხორვატი ვიზაჟისტის ელენა პერიჩის აკაუნტი ინსტაგრამში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს მას შემდეგ, რაც სოციალური ქსელების მომხმარებლებმა მისი ამერიკელ ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანთან გარეგნული მსგავსება შენიშნეს.

დღეისთვის ინსტაგრამში პერიჩის გვერდს 700 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ 24 წლის გოგონა ყოველმხრივ ცდილობს, დაემსგავსოს ამერიკელ ტელევარსკვლავს. ამისთვის ის იკეთებს შესაბამის მაკიაჟს, ვარცხნილობას და კარდაშიანივით იცვამს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოციალურ ქსელებში ხშირად ერევათ ერთმანეთში ვარსკვლავისა და პერიჩის ფოტოსურათები.

– მე ხშირად მადარებენ კიმ კარდაშიანს. ამას კომპლიმენტად აღვიქვამ, თუმცა ზოგჯერ მეტად დამღლელია, – განაცხადა ხორვატიის დედაქალაქ ზაგრების მცხოვრებმა გოგონამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენი ცოლისთვის ოდესმე თუ გითქვამს, სინამდვილეში რას ფიქრობ მასზე?

– როგორ არა, გინდა, თავზე იარა განახო?

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– გინდივარ?

– არა.

– ჭამა გინდა?

– მინდა.

– მერე, მათ შორის კავშირს ვერ გრძნობ?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ქმრის საბავშვო ბაღის დახასიათება ვიპოვე.

– მერე, რა ეწერა?

– კარგად ჭამს, სძინავს, სეირნობს.

– მერე?

– 37 წელია გასული და არაფერი შეცვლილა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:

– ჩემი კომპიუტერი თავისით ითიშება... რა გავაკეთო?

– სისტემური ბლოკი დაბლა გიყენია?

– ჰო.

– წინდები გამოიცვალე... გონებას კარგავს.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– ძვირფასო, მე შენთვის მართლა ერთადერთი ვარ?

– რა უბედურებაა, დღეს ყველამ პირი შეკარით თუ რა ხდება?!

●●●

– მართალია, რომ დედამიწაზე ყველა ომი ქალის გამო ხდება?

– აბა რა, გააჩინეს ამდენი სულელი და...

●●●

– რა განსხვავებაა ქალის მკერდსა და სათამაშო რკინიგზას შორის?

– არაფერი. ორივე ბავშვისთვისაა, მაგრამ მამები ერთობიან.

●●●

ექიმი პაციენტს:

– ე.ი. ასე, თქვენი დიეტა: დღეში 300 გრამი მოთუშული ყაბაყი, 400 გრამი მწვანილი, სალათის ფურცლები, რამდენიც გინდა, იმდენი მიირთვი.

– ექიმო, კისერზე ეჟვნის შებმა აუცილებელია?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


31 მაისიდან

სომერსეტ მოემი

მთვარე და ექვსპენიანი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# რეალმა ჩემპიონთა ლიგა მეთერთმეტედ მოიგო



**რეალი – ატლეტიკო 1:1 (5:3პ)**

**მილანი. სან სირო**

1:0 რამოსი (15), 1:1 კარასკო (79)

48-ე წუთზე გრიზმანმა ვერ გამოიყენა პენალტი (ხარიხა)

**პენალტების სერია:** 1:0 ვასკესი, 1:1 გრიზმანი, 2:1 მარსელო, 2:2 გაბი, 3:2 ბეილი, 3:3 საულ ნიგეზი, 4:3 რამოსი, 4:3 ხუანფრანი (ძელი), 5:3 რონალდუ

**მადრიდის რეალი:** ნავასი, კარვახალი (დანილო 52), პეპე, რამოსი, მარსელო, კროოსი (ისკო 72), მოდრიჩი, კასემირო, ბეილი, რონალდო, ბენზემა (ლუკასი 77)

**მადრიდის ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, სავიჩი, გოდინი, ლუისი (ჰერნანდესი 109), ნიგესი, გაბი, ფერნანდესი (კარასკო 46), კოკე (ტეიე 116), გრიზმანი, ტორესი

მადრიდის რეალი მეთერთმეტედ გახდა ჩემპიონთა ლიგის მფლობელი და ამ რეკორდს კიდევ დიდი ხანი ვერავინ შეეხება. ატლეტიკომ კი მესამე ფინალი წააგო, აქედან 2 ბოლო 3 წელიწადში და ორივე რეალთან.

ეს გუნდები 2014 წელს შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში. მაშინ ატლეტიკო მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა და მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-4 წუთზე სერხიო რამოსმა გაათანაბრა, დამატებით დროში კი რეალმა 4:1 მოიგო.

ამჯერად რეალი იგებდა და გათანაბრება ატლეტიკომ მოახერხა, მაგრამ დიეგო სიმეონეს შეგირდებმა მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს.

სიმეონესა და ატლეტიკოს ადამიანურად თანავუგრძნობთ. ზოლიანებს მშვენიერი სეზონი ჰქონდათ და რეალ-ბარსელონას კონკურენცია არა მარტო შიდა ასპარეზზე, არამედ საერთაშორისოც გაუწიეს, თუმცა ზიდანის „მაგიას“ ვერაფერი მოუხერხეს.

დიდ ფეხბურთელობასთან ერთად, ზიდანი იღბლიანი მწვრთნელიც გამოდგა. როდესაც რეალი ჩაიბარა, გუნდი ფიასკოს წინაშე იდგა, მაგრამ მოახერხა, ბოლომდე ებრძოლა პრიმერას ოქროსთვის (მართალია, ამაში ბარსელონაც „წაეხმარა“) და ლიგის ჩემპიონობა მოეპოვებინა.

ფინალის პირველი ტაიმი რეალის ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს, გაიტანეს სწრაფი გოლი და მატჩსაც აკონტროლებდნენ, მაგრამ ანტრაქტის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა.

ატლეტიკომ მალე მოიპოვა პენალტის დარტყმის უფლება, მაგრამ გრიზმანმა ხარიხას გაარტყა. ამის შემდეგ ატლეტიკომ რამდენიმე კარ-


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. შენობის წინა მხარე; 4. ოფისი; 7. სამხედრო წოდება; 9. პატარა მაიმუნი; 11. რამდენიმე ჯიშის ძაღლის საერთო სახელწოდება; 12 სახელმწიფო აზიაში; 13. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ავსტრალიური ცხოველი; 17. ზღვის დიდი ცხოველი; 18. კვამლი; 19. ძველებური ნივთებით მოვაჭრე; 20. ორკესტრის ხელმძღვანელი.

**შვეულად:** 1. ძირითადი ტონი, რომელზეც სურათი იხატება; 2. დასარტყმელი მუსიკალური საკრავი; 3. დამღა; 5. მტაცებელი ცხოველი; 6. რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება; 8. დასარტყმელი მუსიკალური საკრავი; 10. მიწის თხილი; 12. ფრანგული ცეკვა; 14. აპკი, რომელიც გულმკერდისა და ფილტვების ღრუს ფარავს; 15. მეცნიერების დარგი; 16. სპორტის სახეობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

